ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა ივერიელი

გაზეთი გამოდის 1921 წლიდან

შაბათი 21 ივნისი № 69 (11555) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 8 კაპ.




გუშინ გაიმართა საქართველოს სსრ მე-11 მოწვევის უზენაესი საბჭოს მეთხუთმეტე სესია. პარალელურად მთავრობის სასახლესთან მიმდინარეობდა ხალხმრავალი მიტინგი.

ეს ფოტორეპორტაჟი საქინფორმის კორესპონდენტთა მომზადებულია. ინფორმაციას ამ მოვლენების შესახებ შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.





SOS

## საგანგებო სიტუაცია

სხვა სიტყვებით ვერ შეაფასებ მომხდარ ფაქტს — „ახალგაზრდა ივერიელის" წინა ნომერი დანიშნულ დღეს არ გამოვიდა, ის ასიათასობით ხელმომწერმა ერთი დღის დაგვიანებით მიიღო. ფაქტობრივად, წყალში ჩაიყარა რედაქციის მუშაკთა, ავტორების, სტამბის საამწყობო საამქროს მუშათა შრომა. არ შეწყვეტილა ტელეფონის ზარი ჩვენს რედაქციაში, ბუნებრივია, მკითხველებს აინტერესებდათ გაზეთის გამოუსვლელობის მიზეზი.

გამოგიტყდებით, დღეს ამ ცნობის ნაცვლად სხვა უფრო მძაფრი, ვრცელი წერილი უნდა დაბეჭდილიყო, სადაც მომხდარი ფაქტისადმი ჩვენი პოზიცია იქნებოდა გამოთქმული, მაგრამ...

მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ყველაფერი მაინც გაუგებრობამ გამოიწვია (გვინდა, ამისი გვჯეროდეს) და პარტიის ცკ-ის გამომცემლობა კვლავაც ხელს შეგვიწყობს მუშაობაში.

რედაქცია იმედოვნებს, რომ მსგავსი ფაქტი აღარ განმეორდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებაში

14 ივნისს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებაში გაიმართა კომიტეტის სხდომა, რომელმაც განიხილა საქართველოს კპ ცკ შენობასთან მომხდარი ექსცესი.

საქმის ვითარება მოკლედ ასეთია: მარნეულის რაიონის ქართული მოსახლეობის ერთმა ნაწილმა უნდობლობა გამოუცხადა რაიონის ხელისუფალთ — პარტიის რაიკომსა და აღმასკომს, და საქართველოს კპ ცკ შენობაში მჯდომარე გაფიცვა გამოაცხადა. რამდენად კანონიერია გაფიცულთა მოთხოვნები და რამდენად საფუძვლიანი და საპატიო მისი მოტივი, ჩვენ ამჯერად ამის განსჯას არ მოვყვებით, ამას ალბათ უკეთ ის საგანგებო სამთავრობო კომისია შეაფასებს, რომლის შექმნასაც კატეგორიულად მოითხოვენ რუსთაველის საზოგადოებაც, სახალხო ფრონტიც და ალტერნატიული გაერთიანებებიც (ამასთან მიგვაჩნია, რომ კომისიის მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა ზემოთ ნახსენები საზოგადოებრივი სტრუქტურის წარმომადგენლებმაც), ჩვენ ახლა მთელი საქართველოს ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ შემზარავ, სწორედაც რომ ვანდალურ საქციელზე, რომელიც გაფიცულთა მიმართ ჩაიდინეს. მარნეულის რაიონიდან საგანგებოდ ჩამოვიდა ადამიანთა ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც თავს დაესხა ცკ შენობის წინ მსხდომ რამდენიმე გაფიცულს და ცემით თავპირი დაუსისხლიანა მათ — ძირითადად ხანშიშესულ ქალბატონებს. რაკი დღესდღეობით საქართველოში უფრო დიდი დამნაშავეების დასასჯელად ვერ მოიცალეს, ალბათ გაკვირვებადაც არ ღირს ის ფაქტი, რომ ახლომახლო არავინ აღმოჩნდა ისეთი, ამ აღვირახსნილი რბევის მოთავეები დაეკავებინა. სანამ ზემოთნახსენები სამთავრობო კომისია მომხდარი ფაქტის სრულ და ობიექტურ სურათს წარმოადგენდეს და პოლიტიკურ თუ ზნეობრივ შეფასებას მისცემდეს მას, მანამდე გთავაზობთ მარნეულიდან სათაკილო მისიით ჩამოსულთა არასრულ სიას:

**თ. ბერიძე** (პარტიის მარნეულის რაიკომის მეორე მდივანი), **მ. ჩიტაია** (აგრომრეწვის თავმჯდომარე), **ს. ხარშილაძე** (აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე), **გ. კეხარელი** (სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე), **კ. ნადირაძე** (სოფ. წერეთლის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი), **ო. ლაშხი** (ლომთაგორის მეურნეობის დირექტორი), **ა. შუბითიძე** (საის უფროსი), **მ. შუბითიძე** (ვაჭრობის დარგის მუშაკი), **გ. შუბითიძე** (ადგილობრივი სახალხო ფრონტის თავმჯდომარე), **ი. დარბაიძე** (სოფ. თამარისის მეურნეობის დირექტორი), **კიზირია** (რკინა-ბეტონის ქარხნის დირექტორი), **რ. ჩხიტუნიძე** (აგრომრეწვის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე), **დარბაიძე** (გამწვანების მეურნეობის დირექტორი), **ვ. დარბაიძე** (სასაკლაოს მთავარი ვეტექიმი), **ს. ხარშილაძე** (საავადმყოფოს მომმარაგებელი), **გ. ახანიძე** (რაიკავშირის მომმარაგებლის მოადგილე), **გ. ახანიძე** (მაცივრის გამგე), **ტოგონიძე** (რაიკავშირის ატკ-ს დირექტორი), **ჯ. ჯოხაძე** (სატრანსპორტო კვანძის უფროსი), **პ. შუბითიძე** (გზათა სამმართველოს უფროსი), **ზ. ჩხიტუნიძე** (სატყეო მეურნეობის მთავარი ინჟინერი).

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება სასტიკად გმობს ამ პროვოკაციულ აქტს და მოითხოვს, საკადრისად დაისაჯოს ყველა, ვისაც რაიმე წვლილი მიუძღვის ამ სამარცხვინო, ეროვნული მოძრაობის გასათიშად გამიზნულ, სოციალურად, პოლიტიკურად, ყველა თვალსაზრისით საშიშ ქმედებაში! უნდა სახელი დაერქვას ყველაფერს, უნდა სააშკარაოზე იქნას გამოტანილი ყველა დეტალი, არავითარი დანდობა ადამიანებს, ვინც ერთმანეთზე უსისინებს ქართველობას, სულ ერთია, რუსთაველის საზოგადოების სახელსა და ავტორიტეტს იქნებიან ისინი ამოფარებულნი, სახალხო ფრონტისას, არაფორმალური გაერთიანებისა, თუ რაიკომ-აღმასკომის იმედით იქნებიან გულმოცემულნი! როგორც რუსთაველის საზოგადოების, ისე სახალხო ფრონტის ხელმძღვანელობამ შეფასება უნდა მისცეს თავისი რეგიონალური განყოფილების პოზიციას, და თუ სწორედ მათ წრეში აღმოჩნდებიან წამქეზებელნი და გამთიშველნი, ქვეყანას დაანახვოს მათი სახე! სანამ შეიძლება გულგრილად შევყურებდით იმ ფაქტს, როცა მარნეულის რაიონის არაქართული მოსახლეობის 96% ირონიული ღიმილით შესცქერის 6% ქართულ მოსახლეობას, რომელიც, სექტებად და ჯგუფებად დაყოფილი, გააფთრებული ებრძვის ერთმანეთს. ახლა საქმე იქამდეც მივიდა, რომ პარტიის ცკ შენობის წინ უსწორებენ ერთმანეთს ანგარიშს...

ქართველმა ხალხმა უნდა კარგად გაიცნობიეროს, რომ ის, რაც 14 ივნისს მოხდა (და რისი მსგავსი მოვლენებიც, ჩვენდა საუბედუროდ, სულ უფრო და უფრო ხშირდება), სამოქალაქო ომის ემბრიონული სახეა, და იგი უნდა მივიღოთ, როგორც მომავალ უბედურებათა სიგნალი!

ნუ გავახარებთ მტერს! მით უმეტეს, ხელს ნუ შევუწყობთ მას!

მკაცრად მოვკითხოთ ყველას, ვინც, ნებით თუ უნებლიეთ, ხელს უშლის ეროვნული კონსოლიდაციის წმიდათაწმიდა საქმეს!

**სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება**
**გაზეთი „მამული", № 11.**

# რატომ მიაჭენებს რედაქტორი?!

**ჩვენი** რედაქცია, ნებსით თუ უნებლიეთ, მარნეულში მიმდინარე მართლაც უსიამოვნო მოვლენების ცენტრში აღმოჩნდა. საქმე ის არის, რომ მიმდინარე წლის 8 მაისს გამოვაქვეყნეთ **მარნეულელ მშრომელთა წერილებზე აგებული პუბლიკაცია,** რომელშიც მოტანილი ფაქტები ადგილზე შეამოწმა სპეციალურად მივლინებულმა ჩვენმა კორესპონდენტმა.

პუბლიკაციამ არაერთმნიშვნელოვანი რეაქცია გამოიწვია. ერთნი თუ მადლობას გვიხდიან სიმართლისათვის, მეორენი ტენდენციურობას გვწამებენ (ცხადია, ერთობლივ აღტაცებას არც ველოდით). მშრომელთა მოთხოვნით, რაიონში კიდევ ერთხელ მივავლინეთ კორესპონდენტები. უნდა გითხრათ, რომ სურათი ბევრად არ შეცვლილა, თუმცა ერთ რამეში კი დავრწმუნდით, რომ საკითხი უფრო რთული იყო, ვიდრე ეს თავის დროზე ჩვენმა კორესპონდენტმა შეაფასა. რაიკომის მდივანსა და მეურნეობის დირექტორს შორის წარმოშობილი კონფლიქტის მიზეზებს სხვადასხვა კომისიებიც სწავლობდა. ამიტომ, რედაქციამ, იმ მოსაზრებით, რომ თუ მართლაც იყო პირველ პუბლიკაციაში დაშვებული გარკვეული უზუსტობა, აჩქარებით უფრო არ გაემწვავებინა სიტუაცია და დროებით, ვითარების ბოლომდე გარკვევამდე, თავი შეიკავა შემდგომი პუბლიკაციისაგან. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ აზრს მარნეულშიც ბევრი იზიარებდა.

მაგრამ, ახლახანს მარნეულის რაიონულ გაზეთ „ქვემო ქართლში", ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად, გამოჩნდა მისი რედაქტორის (სხვათა შორის ყოფილი „ახკომელის" და „თბილისელის") პეტმარ აბაიშვილის პასკვილი „ახალგაზრდა ივერიელზე". ამას დაემატა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობასთან მომხდარი მართლაც რომ ვანდალური აქცია და ამიტომ გადავწყვიტეთ, მცირეოდენ ხანს მკითხველის ყურადღების მიპყრობა.

ვინაიდან მომხდარის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია გაზეთმა „მამულმა" გამოაქვეყნა, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მისი გადმობეჭდვაც.

ფაქტი მართლაც მეტყველია და ის ბევრ კომენტარს არც საჭიროებს, მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ, რომ თუ აქციის მონაწილე „გმირთა" სიებს გადავხედავთ (ცხადია, ის სრული არ არის), გაგაკვირვებს რაიონის თანამდებობის პირთა საოცარი ერთსულოვნება. ამან კი ერთ დასკვნამდე მიგვიყვანა: კონფლიქტის ერთ-ერთი მონაწილე ვ. გაბელია წამოვიდა რაიონიდან (ჩვენ ვიცით, რომ საკუთარი განცხადებით), მაგრამ სიტუაციის ნორმალიზებისათვის, ვფიქრობთ, ეს ჯერ-ჯერობით ერთადერთი ორგანიზაციული, საკადრო ცვლილება საკმარისი არ უნდა იყოს (აქ კი მგონი მართლაც საჭიროა ერთსულოვნება). მაგრამ ჩვენ უფრო ჩვენი კოლეგების (თუ კოლეგის) აგრესიულობამ გაგვაკვირვა. ნუთუ მფარველისადმი ერთგულების დასადასტურებლად ყველაფერი უნდა იკადრო, ან კი ღირს ამისათვის ობიექტურობისა და კოლეგიალობის დავიწყება.

რასაკვირველია შეგვეძლო ამხ. პ. აბაიშვილის წერილში გაბნეული „მარგალიტების" გამომზეურებაც და ცალ-ცალკე შეფასება-განხილვაც, მისთვის ჟურნალისტიკაში არსებული ე. წ. დაუწერელი და ეთიკური კანონების გახსენებაც, მაგრამ, ნათქვამია, გინდ რეგვენისთვის გისწავლებია, გინდ მკვდრისათვისო. ისიც უთქვამს ჩვენს წინაპარს, ვირზე შეჯდომა ერთი სირცხვილია და ჩამოხტომა მეორეო. კარის ინტერესების დასაცავად ამხედრებული ჩვენი კოლეგა კი ისე დააჭენებს თავისი ფანტაზიის რაშს, რომ მგონი, ეს გრძნობა ძალიანაც არ უნდა აწუხებდეს. მისი აყოლაც არას გვარგებს. ამიტომ ისა სჯობს, ჩვენი მკითხველიც დავინდოთ, ძვირფასი საგაზეთო ფართიც და იმაზე ვწეროთ, იმ საზოგადოზედ ვიმსჯელოთ, ასე რომ სტკივა დღეს ჩვენს ხალხს, იგივე მარნეულის მშრომელებს, თუნდაც იქ მცხოვრებ ერთ მუჭა ქართველებს, ვიღაცის პირად ამბიციებს რომ აუფორიაქებია და ერთმანეთს დაპირისპირებულები შუაზე გაუხლეჩია.

**მერაბ ბალარჯიშვილი,**
**გიგლა გოგეჩია.**

# შეიქმნა საქართველოს დედათა სათათბირო „მანდილი"

დღეს საქართველოში დედების საწუხარ-სადარდებელმა იმატა. შექმნილმა ეთნოკრიზისებმა, სხვადასხვა უბედურებებმა მიგვიყვანეს იმ დასკვნამდე, რომ შეგვექმნა დედათა საზოგადოება. აკი გოგებაშვილიც აღნიშნავდა, რომ „ქართველი დედები იყვნენ ძველს საქართველოში ნამდვილი შეურყეველნი ბურჯნი ეროვნული არსებობისა, განვითარებისა და აღზრდისა"...

მრავალი ისტორიული მაგალითი გვაქვს ქართველი დედის სამშობლოსათვის თავგანწირული მოქმედებისა. ჩვენმა სათაყვანებელმა მეფემ — თამარმა ამბოხებულთ ლაშქარი კი არ გაუგზავნა, არამედ დედათა დესპანი, რომელთაც კონფლიქტი მშვიდობიანად მოაგვარეს. თამარმავე აკრძალა წამება და სიკვდილით დასჯა. ერეკლე მეფის რძალმა ქეთევანმა მცირერიცხოვანი რაზმით დაამარცხა მტრის მრავალრიცხოვანი ლაშქარი. საქართველოს დედოფალ ქეთევანს მკერდი დაუშანთეს, არაადამიანურად აწამეს, მაგრამ რჯული ვერ შეაცვლევინეს.

ქალისადმი პატივისცემის ტრადიცია სიმბოლურადაა გამომჟღავნებული წმიდათაწმიდად მიჩნეულ მანდილის პატივისცემაშიც. ამან განაპირობა ჩვენი საზოგადოებისათვის „მანდილის" დარქმევა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქალის მანდილმა დღესაც ბევრი პრობლემა და კონფლიქტი უნდა მოაგვაროს...

„მანდილის" მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრებთა ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის გაღვივების, ეროვნული კონფლიქტების მოწესრიგებას და მშვიდობიანი ცხოვრების დამკვიდრებას.

„მანდილი" სხვა პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ პარტიებთან და ორგანიზაციებთან ერთად იბრძოლებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

ჩვენი მიზანია აგრეთვე ხელი შევუწყოთ ახალგაზრდების ჯანმრთელ, განათლებულ ადამიანებად ჩამოყალიბებას, მათს დროულ დაოჯახებას, შრომით მოწყობას.

ყოველ კეთილ საქმეში მათ ჩვენს დედურ თანადგომასა, და დახმარებას არ მოვაკლებთ.

დავეხმარებით უშვილო ცოლქმარს უპატრონო ბავშვის შვილად აყვანასა და აღზრდაში. შევქმნით მარტოხელა დაუოჯახებელთა შეხვედრა-გაცნობის კლუბს. აგრეთვე სოციოლოგიურ და სამედიცინო კაბინეტებს, რომლებიც ოჯახის პრობლემებზე იმუშავებენ. დავაარსებთ ძნელადსაშოვნი, დეფიციტური წამლების აფთიაქს. დავეხმარებით ახალგაზრდებს საბინაო პრობლემების მოგვარებაში.

თანამემამულენო! ჩვენი გეგმები დიდი და მრავალმხრივია და მათი განხორციელებისათვის თქვენი თანადგომა გვჭირდება.

ჩვენი საფოსტო ინდექსია 380004.

ანგარიშის ნომერია 100700640. კოდი 52162. მთაწმინდის რაიონის საბინაო-სოციალური ბანკი. შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: 96-24-58.

**ნაზი მაშიაძე,**
**საქართველოს დედათა სათათბირო „მანდილის" თავმჯდომარე.**

# წერილი „ახალგაზრდა ივერიელს"

**ეროვნული ფორუმისა და მრგვალი მაგიდის ირგვლივ გაერთიანებულ პარტიებისადმი და საზოგადოებისადმი**

ვთქვათ პირდაპირ — რაც ხდება ახლა ეროვნულ მოძრაობაში, მართლაც რომ საგანგაშოა, და ახლავე საჭიროა შემოვკრათ განგაშის ზარი, ახლავე მოვნახოთ გზა ხსნისა, რახან ჯერ კიდევ ურემი არ გადაბრუნებულა, ისტორიულად ხომ ცნობილია, რომ საქართველოსთვის იმდენად არ იყო საშიში გარეშე მტრები, — რამდენადაც შიგა არეულობა-აშლილობა... არც ისაა დასამალი, ასეთი გზით თუ ვივლით, გარდუვალად ჩიხში შევალთ. ბალტიის ქვეყნებში კი... ჭირსა შიგა გამაგრებაა.

არადა სწორედ იმ დროს, როცა ახლა ასეა საჭირო ერთიანობა, ერის, ბერის, სხვადასხვა სოციალური წრეების ერთ მუშტად შეკვრა გვჭირდება, სწორედ ამ დროს იჩინა თავი ჩვენი ერის ყველაზე მძიმე სენმა — გათიშულობამ, დაპირისპირებულობამ... ჩვენი აზრით, ვერც 1921 წლის თებერვლის ამბები მოხდებოდა, რომ უმაღლესი მიზნით — „საქართველო უპირველეს ყოვლისა" — ემოქმედნათ, პარტიული მიზნები გვერდზე გადაედოთ...

ეს წერილი ვაი-ვიშისათვის კი არა „მომავალი ჩვენიას" იმედითაა დაწერილი და უნებურად ინატრებს კაცი — ოხ, რა იქნებოდა ერთი დღით მაინც ჩვენი სულმნათი, ბრძენკაცი ილია ჭავჭავაძე გააცოცხლა და მაშინ ნახეთ ყველაფერი და ყველა ისევ საერთო საქმესა და მიზანს დაუბრუნდებოდა... უბედურებაც ისაა, რომ დღეს არა გვყავს ჩვენი დროის ილია, ჩვენი დროის აკაკი, რომლებიც ამ ძნელბედობის ჟამს ჩვენს ეროვნულ მოძრაობას შეადუღაბებდნენ, გაამთელებდნენ, ერის წინამძღოლად, მსაჯულად მოგვევლინებოდნენ და მათი მართალი სიტყვის არავის ეწყინებოდა...

**ილია II** — ქართული ეკლესიის წინამძღოლი, მართლაც რომ ერისათვის უწმინდესი და უნეტარესი პიროვნებაა, ერისკაცი. მისი დიდი დამსახურებაცაა, რომ ერმა რწმენისკენ იბრუნა პირი.

**აკაკი ბაქრაძე** — რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი (მწამს, რომ ერი არ სცნობს მის გადადგომას), მისი დღე და მოსწრება ქედუხრელად ქართველი ერის მართალ სიტყვას ქადაგებს. საქართველოს ხვალინდელი დღეა მისი ფიქრი და საზრუნავი. სიბრძნე და ისტორიული გამოცდილება უძევს საფუძვლად მის მოქმედებას...

სწორედ აღინიშნა ეროვნულ ყრილობაზე, რომ ახლა ხალხს, ქართველ ერს არა ჰყავს წინამძღოლი, მსაჯული... იქ მეორე დასკვნაც გაკეთდა, რომ ერის სახელით, საქართველოს კანონიერი მოსახლეობის სახელით მარტო ეროვნული კონგრესი (საყოველთაოდ არჩეული) იქნება უფლებამოსილი ილაპარაკოს....

თითქოსდა ყველასათვის მისაღებ ჭეშმარიტებასთან ახლოს მივედით, მაგრამ 30 სექტემბრამდე ღმერთმა იცის თუ რა შეიძლება მოხდეს... ამიტომ ახლა დღესვე გვჭირდება ეროვნული წინამძღოლები, არ ვიცი მეგობრებო, თქვენ როგორ ფიქრობთ, ჩვენ კი ამ ორი ღმერთკაცის გარდა, სხვა არ გვეგულება პიროვნება, რომელსაც ხალხი რწმენით მიანდობს თავის ბედს, ერის მომავალს, მის ხვალინდელ დღეს. იმ რწმენით, რომლის გარეშეც ყველა საქმე განწირულია.

ოღონდ გვახსოვდეს ესეც, რომ ისინი მხოლოდ მაშინ შესძლებენ შეასრულონ თავისი მისია ქართველი ერის წინაშე, როცა ჩვენ უკლებლივ ყველანი თავს ჩავთვლით მათ წინაშე — რიგით ჯარისკაცებად. და მათ თვითონ განსაჯონ და მოგვანდონ საქმე იმისდამიხედვით, თუ ვისთვის შეიძლება საქმის მინდობა და ვისთვის ქამარზე მობმული ერთი ცხვარის ჩაბარებაც კი არა. ნურც ის შეგვაშინებს, რომ ამით ეროვნული მოძრაობის ლიდერების როლი ჩრდილში მოექცევა და დაკნინდება. ჯერ ერთი, რაც მათ გააკეთეს ერის გამოფხიზლების, ეროვნული თვითშეგნების გამოცოცხლების საქმეში — პირდაპირ ვიტყვი, ეს ახლავე ოქროს ასოებით ჩაწერილია ქართველი ერის ისტორიაში... მეორეც, დარწმუნებული ვიყოთ, ეს ორი უგვირგვინო მეფე არ მიიღებს არც ერთ გადაწყვეტილებას მათთან და ქართველ ერთან მოთათბირების გარეშე.

მამულიშვილნო, დრო აღარ ითმენს, მოგმართავთ თხოვნით ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს მომავალი, მისი ხვალინდელი დღე, ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ნუ ვიქნებით სეირის მაყურებლის როლში, აქტიურად გამოვთქვათ ამ საკითხის ირგვლივ ჩვენი პოზიცია.

ეს წერილი მხოლოდ კეთილი გრძნობითა და სურვილების კარნახითაა დაწერილი. გამოგიტყდებით და მაშინებს ის, რომ აქაც აღმოჩნდებიან ისეთები, რომლებმაც შეიძლება ჩათვალონ, რომ მე ბზარს ნაპრალად ვაქცევ, განხეთქილებას ვაღრმავებ და თუ თქვენც ასე ფიქრობთ, მაშინ უმჯობესია ეს წერილი საერთოდ არ დაიბეჭდოს...

**ბორის ათამაშვილი,**
**საზოგადოება „ჰერეთის" გამგეობის წევრი**

**P.S. ახევე ვემხრობით პროფესორ ტარიელ კვანჭილაშვილის აზრს, რომ შეიქმნას ეროვნული თანხმობის კომისია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტის ორი განცხადება

**როგორც** ცნობილია, აფხაზეთის ქართულმა ეროვნულ-პოლიტიკურმა გაერთიანებებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციის თანხმობით პარიტეტულ საფუძველზე აირჩიეს ეროვნული ფორუმის სამი წევრი (თემურ ლორთქიფანიძე, აკაკი გასვიანი, რევაზ კემულარია). ამის ლოგიკური გაგრძელება იყო ა. წ. მარტში ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტის დაფუძნება მოქმედების კოორდინაციის მიზნით, რომელშიც პარიტეტულ საწყისებზე გაერთიანდა აფხაზეთში მოქმედი ყველა ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაცია, გარდა სახალხო ფრონტისა. აღნიშნული ეროვნული კომიტეტი არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენდა ფორუმის კალკს. ასეთი შეთანხმების საფუძვლად თითოეულმა მონაწილე ორგანიზაციამ აღიარა აფხაზეთში ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის შექმნილი განსაკუთრებული ვითარება.

შემდგომ ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, სამწუხაროდ, განხეთქილება მოხდა: რიგმა ოპოზიციურმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა დატოვეს ეროვნული ფორუმი და მონაწილეობა არ მიიღეს საქართველოს საყოველთაო ეროვნული ყრილობის მუშაობაში, რომელიც ა. წ. 23-25 მაისს ჩატარდა ქ. თბილისში და რომელზეც მოხდა უმრავლესი ოპოზიციური ორგანიზაციების გაერთიანება ქართველი ერის ნების გამომხატველი იურიდიული ორგანოს — ეროვნული კონგრესის — არჩევის საკითხის ირგვლივ. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ეროვნული მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრი.

ეროვნულ ძალთა განხეთქილებამ აფხაზეთშიც იჩინა თავი და, მიუხედავად შეთანხმებისა, საერთო სტრატეგიული ინტერესების იგნორირებითა და დამაჯერებელი არგუმენტაციის გარეშე რიგმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა ეროვნული კომიტეტიდან გასვლა არჩიეს. ასეთი ნაბიჯის გამართლებას ოპონენტები ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ცალკეული პიროვნებების როლის პრიორიტეტულობის ჩვენს მიერ უგულებელყოფაში და ზოგიერთების „უბრალო სიჯიუტეში" ხედავენ.

ჩვენი აზრით, ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციები, მით უფრო აფხაზეთში, ყოველგვარ ჯგუფურ ინტერესებზე და ზოგიერთების „უბრალო ჯიუტობის" კონსტატაციაზე მაღლა უნდა დადგნენ. ურთიერთკომპრომისების ძიებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ის, რომ აფხაზეთი ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის განსაკუთრებული რეგიონია და ამიტომ შესაბამისი ძალისხმევა მართებს ყველას, რათა აქ ეროვნულ ძალთა ერთიანობა შენარჩუნებულ იქნას.

კატეგორიულად ვაცხადებთ: თბილისში მომხდარი კონფრონტაციის საფუძველზე ოპოზიციური პოლიტიკური სტრუქტურების კალკირება აფხაზეთის რეგიონისთვის ამ შემთხვევაში დაუშვებელია. შექმნილი ვითარება (ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტისა (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია — IV დასის ცხუმ-აფხაზეთის ბიურო, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ცხუმის განყოფილება, რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაცია, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი — ქრისტიანულ-დემოკრატიული ახალგაზრდობის ასოციაციის აფხაზეთის განყოფილება, სადროშო „ლემ"-ი, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ცხუმის კომიტეტი, საქართველოს ექიმთა ასოციაციის აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაცია) და მრგვალი მაგიდის ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების (ჰელსინკის კავშირი — ეროვნული აღორძინების, მერაბ კოსტავას საზოგადოების, მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის აფხაზეთის განყოფილებები) კოორდინირებულ მოქმედებას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია საზოგადოებრივ ძალთა არასასურველი დაქსაქსულობა და დაპირისპირებულობაც კი, რაზედაც მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტიდან გასულ ორგანიზაციებს.

**ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტი.**

**15. 06. 1990 წ.**

**1990 წლის** 28 მაისს ქ. სოხუმში შედგა აფხაზი ხალხის წარმომადგენელთა კრება, რომელმაც მოითხოვა აფხაზეთის კომუნისტური და საბჭოთა ხელმძღვანელობის სრული შემადგენლობით შეცვლა.

აფხაზეთის სახალხო ფორუმ „აიდგილარას" თავმჯდომარემ ს. შამბამ გაზეთ „ზარია ვოსტოკასათვის" (29.05.90.) მიცემულ განმარტებაში განაცხადა, რომ მათ აქვთ კონტაქტი ქართულ ოპოზიციურ ორგანიზაციებთან აფხაზეთში და ამ ორგანიზაციათა მხრიდან მხარდაჭერის შესაძლებლობა დაუშვა, რასაც მოჰყვა „მრგვალი მაგიდის" ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების განცხადება (იხ. გაზ. „ზარია ვოსტოკა" — 08.06.90).

ამასთან დაკავშირებით ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტი აცხადებს.

1. აფხაზი ხალხის წარმომადგენელთა კრების დადგენილებისადმი დამოკიდებულების გასარკვევად კომიტეტისთვის ან მასში გაერთიანებული რომელიმე ორგანიზაციისათვის აფხაზთაგან არავის მოუმართავს.

2. „მრგვალი მაგიდის" აფხაზეთის განყოფილების ზემოთაღნიშნული განცხადება ჩვენთვის მიუღებელია, რამეთუ ის, არსებითად, შესაძლო დიალოგზე უარის თქმას ნიშნავს, რაც დღეს არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში ხელს აძლევს მხოლოდ ხელისუფალთ აფხაზეთში ეთნიკური დაპირისპირებულობის ხელახალი ესკალაციისათვის.

ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტი გამოთქვამს მზადყოფნას აწარმოოს პოლიტიკური ხასიათის კონსულტაციები აფხაზი ხალხის ნებისმიერ წარმომადგენლობასთან, მით უმეტეს, როდესაც დღის წესრიგში დგას საქართველოში არსებული კომუნისტური და საბჭოური სტრუქტურებისადმი პოლიტიკური კონფრონტაციის საკითხები.

**ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტი.**

**15 ივნისი, 1990 წელი.**

კომენტარი ზედმეტია

# ვის აწყობს ეს?!

**საქართველოში** ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ყველაზე მწვავედ დაუპირისპირდა აფხაზეთის და ოსეთის ავტონომიებში ხელოვნურად შექმნილი ანტიქართული განწყობილება. ცენტრიდან ნაკარნახევი ეთნოკრატიული პრინციპებისა და მართვის კონიუნქტურული მეთოდების გაბატონებით მეტად რთული პოლიტიკური ვითარება შეიქმნა აფხაზეთში.

საბჭოური იდეოლოგიით ნასაზრდოები აფხაზეთი მოწყდა მის ისტორიულ-კულტურულ ფესვებს და დაიძირა ყოველნაირი მანკიერების (სიცრუის, ღალატის, სისასტიკის, გაუმართლებელი სისხლისღვრის, უსაფუძვლო შეურაცხყოფის და დამცირების) მორევში.

უკიდურესად დევალვირებულია ძირითადი ფასეულობანი: სოციალური სამართლიანობა, ჰუმანიზმი, დემოკრატიზმი, თანასწორუფლებიანობა. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ვანდალიზმი და განუკითხაობა, რომელმაც უკვე მეათეხედ გაგვხადა საზარელი ფაქტების მოწმენი გასული წლის აპრილ-ივლისში და ა. წ. მაისში. ცენტრის სანქციისა და მხარდაჭერის გარეშე ისედაც მცირერიცხოვანი აფხაზები (დაახლოებით 80 ათასი) ვერ მოახერხებდნენ ოთხ მილიონიან ერზე ოთხჯერ თავდასხმას ერთი წლის განმავლობაში და ყოველივე ამის ქართველებზე გადმობრალებას. წყლის ორი წვეთივით ჰგავს გასული წლის აპრილ-ივლისის აფხაზთა პრესა დღევანდელს, ყველასათვის კარგად ცნობილ ექსტრემისტთა გაზეთ „ბზიფის" ა. წ. 26 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ აფხაზი ინტელიგენციის მიმართვაში გორბაჩოვისა და ლუკიანოვისადმი ვკითხულობთ:

«Вновь звучат призывы к насилию...» (მხედველობაში ჰყავთ ქართველები) ან კიდევ «Особое беспокойство и тревогу широких кругов Абхазской автономной республики вызывает стремление руководства Грузинской союзной республики узаконить празднование 26 мая не только в пределах собственно Грузии, но и на территории Абхазской АССР, так как этот день, считающийся ныне днем восстановления государственности Грузии, вызывает в исторической памяти абхазского народа, других народов, населяющих автономную республику, негативную реакцию!»

როგორც ვხედავთ ე. წ. აფხაზ ინტელიგენციაში და აფხაზეთში მოსახლე სხვა ერებში საქართველოს ოკუპაცია და ანექსია პოზიტიურ რეაქციას იწვევს, ხოლო სახელმწიფოებრიობის აღდგენა — ნეგატიურს. ვინ არის ეს „დრუგიე ნაროდი"? როგორც ცნობილია, აფხაზეთში ქართველთა და აფხაზთა გარდა სახლობენ სომხები და რუსები, უმნიშვნელოთა ბერძენთა, ესტონელთა და სხვათა რაოდენობა. და თუ მათ აღიზიანებთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა, ეძიონ ჩვენს პლანეტაზე სახელმწიფო, სადაც მონობაა მიღებული და თავისუფლება მიუღებელი, თუ კი ისინი „ბზიფში" მოტანილ აზრს არ ეთანხმებიან, ეს დაუყოვნებლივ უნდა გამოხატონ, თუ არა და უმჯობესია ყოველგვარი წუწუნის გარეშე დატოვონ საქართველოს ტერიტორია და იქ წაბრძანდნენ, საიდანაც ჩამობრძანდნენ. ე. წ. აფხაზი ინტელიგენცია იმასაც მიგვანიშნებს, რომ 26 მაისის აღნიშვნა აფხაზეთში გამოიწვევს:

«...непредсказуемые последствия!»-ს და აქვე გაჰკივიან «Мы категорически требуем принятия решения о введении на территории Абхазской АССР чрезвычайного положения, либо Президентского Правления, причем немедленно, не дожидаясь нового кровопролития!»

აფხაზეთში დღესაც 1989 წლის აპრილ-ივლისში შექმნილი სცენარით ვითარდება მოვლენები და იქნებ ეხლა მაინც გაახილონ თვალი შესაბამისმა ორგანოებმა და დაინახონ ე. წ. აფხაზი ინტელიგენციის წარმომადგენლები, აფხაზეთში ვანდალური მოვლენების ფაქტიური [illegible]პარატორები და სულისჩამდგმელები.

ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ ცენტრიდან წაქეზებულმა ე. წ. ინტელიგენციამ იმპერიის შენარჩუნებისათვის და ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად არ დაინდო და გასწირა აფხაზი (ან ეთნოკონფლიქტებში ან ასიმილაციის შედეგად). მხოლოდ ქართველთა ქრისტიანულმა ბუნებამ და დიდსულოვნებამ იხსნა ამჯერადაც აფხაზი სრული განადგურებისაგან. ვერც ერთხელ ვერ წამოაგეს ქართველი ერი პროვოკაციას და ვერ ეღირსებიან მომავალშიც, ხოლო აფხაზი და ოსი მათთვის ეთნიკური პრივილეგიების მინიჭებით მარტივად წამოაგეს იმპერიის იდეოლოგთა ანკესს, საკუთრივ აფხაზთა და ოსთა სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ უარაზმული, „ოკუპანტებო მოიბრძანდით" მქადაგებელი კორუმპირებული მაფია ცდილობს საბოლოოდ ამოძირკვოს ეროვნული თვითშეგნება აფხაზთა უმრავლესობაში. აფხაზთა და ქართველთა მრავალსაუკუნოვანი ძმობის აღდგენის აუცილებლობის იდეას ტყვია და „კროვოპროლიტია" დაუპირისპირა, რითაც ფაქტიურად გადაგვარება-გადაშენების გზას დააყენა ქართველთა მიერ საუკუნეების მანძილზე სათუთად შემონახული აფხაზი ხალხი.

ვთვლით, რომ დღესვე განგაში აუცილებელი, რადგანაც დღევანდელი აფხაზი დაახლოებით იგივეა, რაც შუასაუკუნეების სვანეთი, სადაც არ არსებობდა სახელმწიფო და სამართლებრივი მექანიზმი და ხალხი თვითონ ასამართლებდა ერთმანეთს. ძნელია იწინასწარმეტყველო ამ განუკითხაობის ვითარებაში, როდის გადმოვიდნება ქართველთა მოთმინების ისედაც სავსე ფიალა, თუ დღესვე არ ამოქმედდა კანონი მთელი სიმკაცრით, რათა თავიდან ავიცილოთ ექსტრემისტთა მიერ შემოთავაზებული „კროვოპროლიტია".

**ნუგზარ მგალობლიშვილი,**
**საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი.**

# „რომელი რაიკომის მდივანი იყო ყველაზე კარგი?.."

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" ა. წ. 12 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულმა თ. თოდუას წერილმა — **„აგრესიული მეტამორფოზა"** — ზნეობრივი გამყინვარებისდროინდელი ერთი მოარული ჭეშმარიტება გამახსენა: კითხვაზე — **„თქვენს რაიონში რომელი რაიკომის მდივანი იყო ყველაზე კარგი?"** — ყველა, როგორც [illegible], აქაოდა, სხვანაირად ნათქვამი წინ არ დამხვდესო, ასე პასუხობდა: **„ახლა რომ გვყავს, ბატონო, ის არის ყველაზე კარგი!"**.

აქ მოყვანილი „კითხვა-პასუხი" ყველაზე უკეთ ასახავს იმ მდგომარეობას, რომელიც ისტორიულ პარტიულ და, საერთოდ, საზოგადოებრივ მეცნიერებაში შეიქმნა. ყოველივე ამის საფუძველში ძევს მეცნიერების „მართვის" პარტობიუროკრატიული ცენტრალიზმი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდებოდა ხელმძღვანელი ორგანოებისა და მეცნიერთა „თანამშრომლობის" იმგვარი „პოლიტიკა", რაც გამორიცხავდა მეცნიერთა მხრიდან „შფოთისთავობას". მეცნიერება ისეთი პარალელური კურსით მიჰყვებოდა თავის ანალიზსა და შეფასებაში ერთპარტიული ხელმძღვანელობის მიერ დამკვიდრებულ „ჭეშმარიტების" კურსს, რომ სრულიად გამოირიცხა პარალელურ ხაზთა კვეთა, „მოკლე ჩართვა". პარალელური ხაზების კვეთა მხოლოდ ზოგიერთ გეომეტრიულ სისტემაშია „საშიში", ხოლო საზოგადოებათმცოდნეთა და ხელმძღვანელობის მიერ გატარებულ პოლიტიკას შორის პარტნიორობაში, ასეთი კვეთა, უშუალოდ აუცილებელია.

ამჟამად, ერთგვარი უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ეს ასე იყო აქამდე და „პერესტროიკამ" ბევრი რამ შეცვალა ამ მიმართებით. სულაც ის ფასი რაც ღირს, რომ პრესაში თავისუფლად ვბჭობთ ამ უმტკივნეულეს პრობლემაზე, მაგრამ, მეორე მხრივ, უკვე დავდექით ახალი, „პერესტროიკისეული" „ნოვატორული კონიუნქტურის" წინაშე და, თუ ღრმად ჩავუფიქრდებით, უნდა დავსვათ კითხვა: „ხომ არ მეორდება ისტორია?"..

მე სავსებით ვიზიარებ შეშფოთებას, რომელიც თ. თოდუამ გამოთქვა თავის წერილში იმ მეტამორფოზის შესახებ, რისი მოწმენიც ვართ ისტორიკოსთა ერთი ნაწილის მხრიდან და რასაც ავტორმა „აგრესიული" უწოდა. „აგრესიულობისა" რაღა მოგახსენოთ (დავინდოთ ერთმანეთი!), მაგრამ ის კი აუცილებლად უნდა ითქვას, რომ საქართველოს კომპარტიის ისტორიაც, რაოდენ სასტიკიც არ იყოს იგი, მაინც საქართველოს ერთიანი ისტორიის ნაწილია. სხვა საკითხია ის, რომ ისტორიის ეს ნაწილი ხელახლა უნდა დაიწეროს, ადეკვატურად უნდა დაიწეროს და მასში მონაწილეობა მიიღონ (ან თვით მათ დაწერონ თავიანთი ვარიანტი!) საქართველოს არაპარტისტორიკოსმა ისტორიკოსებმა. მეცნიერულ-ისტორიული კვლევის მეთოდოლოგია ხომ ერთია?.. ისტორიაც ერთია!

რაც შეეხება „მარქსისტ" ისტორიკოსთა ატესტაციას, იქნებ იმაზეც დავფიქრდეთ, რომ ბევრ მათგანს გამოცდები (და მაღალი შეფასებითაც!) თვით დიდ ივანე ჯავახიშვილთან აქვს ჩაბარებული თავის დროზე და, ალბათ უხერხულია, ახლა მოვთხოვოთ მათ გამოცდის ჩაბარება ივანე ჯავახიშვილის „შვილთაშვილებთან". სულ სხვა საკითხია, რომ ატესტაციას ყველა უნდა გადიოდეს პერიოდულად და ისე, როგორც ეს ხდება მაღალი კულტურის ქვეყნებში. „აგრესიული მეტამორფოზის" ავტორიც ამ აზრისაა.

ისე კი, მეცნიერებისათვის აუცილებელია თავისუფლება. მეცნიერებაში პიროვნება უნდა იყოს თავისუფალი, მაგრამ ისტორიული ფაქტია, რომ პიროვნული თავისუფლება ეროვნული თავისუფლების ელემენტია. როცა გაქრება „რაიკომის მდივნის" როგორობის შეფასების ერთგვარობის სინდრომი, ეროვნულ ისტორიულ მეცნიერებაშიც ყველაფერი მოგვარდება.

**გერმანე ფაცაცია,**
**ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი.**




# ხმალზე უფრო ძლიერად სჭრატარა და რბილი ენა

[illegible]

## ამ დღეს ველოდი, მოვესწარ!..

[illegible]

...ასეთი სიტყვებით ეგებებოდა ცხოვრებას ... აკაკი წერეთელი გამოღვიძებულ ეროვნულ მოძრაობას. მაგრამ არ აცალეს ამ მოძრაობას დაფრთიანება შინაურმა და გარეშე მტრებმა და რათა ერი წინამძღოლის გარეშე დაეტოვებინათ, მოუკლეს მას მოსიყვარულე და მოამაგე მამა — ილია ჭავჭავაძე.

აკაკისაც ის წინანდელი, სამომავლო იმედებით აღსავსე მოწოდება მწუხარების სტრიქონებით შეეცვალა...

„ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას,
და ნუ ამბობთ, რაც არ მჯერა!..
ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა
საქართველოს ბედისწერა?"

გრძნობდა პოეტი, რომ იმ დღეს დიდი ხნით ავბედითად გადაწყდა საქართველოს ბედისწერა და ისინი, ვინც ილიასთვის გაიმეტა ტყვია, არც საქართველოს დაინდობდნენ. წინასწარმეტყველური აღმოჩნდა აკაკის სიტყვები: სამოცდაათი წლის მანძილზე იმდენი უბედურება დაატეხეს მათ საქართველოს, რაც მანამდე მთელი არსებობის მანძილზე არ განუცდია.

მაგრამ ყოველგვარ ბოროტებას აქვს დასასრული და დღეს ისტორიული განკითხვის ჟამი დგას საქართველოში. მეორედ გამოფხიზლდა ქართველი ერი ამ საუკუნეში და ისევ ის დროა, რომელზედაც უთქვამს აკაკის: „ამ დღეს ველოდი, მოვესწარ!" მაგრამ ერთხელ გარდახდილი ისტორიის მწარე გაკვეთილი კვლავაც ძველებურად გვიტოვებს შიშის განცდას, თუ რა გველის სამომავლოდ. მამისმკვლელობისა და კაენის ცოდვით დამძიმებულ საქართველოში დღეს ისევ დგას მათი აჩრდილის გამოჩენის საშიშროება. ამიტომაც ისეთსავე გაფრთხილებად ისმის აკაკის შეგონება:

„ნუ აჩქარდებით! ნურც შიშობთ,
გამტკიცდით, თქვენი ჭირიმე!"

ზურიკელა

## მზის მწვანე შუქი

ფრეილინის ქუჩაზე მივდიოდი, ტროტუარზე წინ შემხვდა ვიღაც გამდელი; ხელ-ჩაკიდებული მოჰყავდა ამაყად ფეხადგმული ბავშვი. პატარა ძლივს მობაჯბაჯებდა. დამინახა თუ არა იმ ბავშვმა, შემომცინა, გააბზიკა თითი და ძლივს წაილუღლუღა „ეი, აკაკი!" მე გავშტერდი. გამდელმა ბოდიში მოიხადა: ამა და ამ კაცის შვილიაო. თქვენ პირადად არ გიცნობენ, მაგრამ თქვენი სურათი უკიდიათ ოთახში და ამ ბავშვმაც მითი გიცნოთო!.. ჩემ დღეში არ გამომეცადა და მაშინ გამოვსცადე სიამოვნების ოფლი. საზოგადოების თანაგრძნობას უჩვეულო არა ვარ, ვინ მოსთვლის რამდენი ტაში მომისმენია, რამდენი „ვაშა" შემიგონია? რამდენი სასიამოვნო რამ მინახავს? მაგრამ არც ერთხელ ის არ მიგრძვნია, რაც იმ პატარა ბავშვის თითმა და ნატიტინებმა მაგრძნობინა.

## სეფეთი

მოღრუბლულში გოლოვინის პროსპექტზე წამოვედით, უეცრად წვიმამ დაუშვა. მე, რადგანაც უპალტოოდ ვიყავი, გავეჩქარე მინისაკენ. უკანიდან ხმა მომესმა: „ბატონო აკაკი, მოიცადეთ!" შევჩერდი, მივიხედე და ჩემთან მოიჭრა ქორგით ხელში ვიღაც თორმეტ-ცამეტი წლის გოგონა და შემომთავაზა ქორგა: აი, მიირთვით, და მერე მიბოძეთ!

— მერე თქვენ?

— მე არა მიჭირს რა, რომ დავსველდე და თქვენ ვაი თუ გაწყინოსთ. რომ აღარ მომეშვა, გადავწყვიტეთ, რომ ორივე იმ ერთ ქორგას შევფარებოდით და ისე მივსულიყავით ჩემ სადგურამდე. სასტუმროს კარებს რომ მივადექი, სადაც შევდექი, გამომეთხოვა და თავისს ქორგიანად გაუდგა გზას. დღესაც არ ვიცი მისი სახელი და გვარი, მაგრამ იმისი უმანკო, ბავშვური სახე კი ყოველთვის თვალწინ მიდგას!..

(„ოთხი შემთხვევა").

## პერპენდუტობილე

ეს თავსატეხი ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშიდან გამოგვიგზავნა **თინა ჯანაშიამ.** ავტორი გვაუწყებს, რომ იონა მეუნარგიას მიუმართავს ნიკო ნიკოლაძისათვის:

**„თავი და თავი ის არის, სათავეს თავური თავი თავობდეს, ამდენმა უთაო თავით თავობამ ჩვენი თავი აათავა. ახლა შენ გვითავე; იქნებ შენმა თავური თავით თავობამ ჩვენი თავი ათავოს".**

აი, აკაკის აზრიც ამ საკითხზე:

„აი, ჩვენი პასუხი: ჩვენ ორივე მხარეს ერთნაირად თანაუგრძნობდით, ორივე ერთნაირად მოგვწონდა და თუ ერთს მხარეს უფრო ვჰკიცხავდით და ახლაც ვჰკიცხავთ, ვიდრე მეორეს, ეს იმიტომ, რომ ის მხარე მოქმედობს აშკარად და თავის, ე. ი. ძველი თაობის სახელით, და ეს მხარე კი თავის მოქმედებას ახალ თაობას სრულიად აწერს, და მაშასადამე ჩვენ არ შეგვიძლია მათ მოქმედებას გულგრილათ უყუროთ და ნამდვილი სახელი არ ვუწოდოთ, ე. ი. უ თ ა ო ბ ა. და რომ უთაობაზედ ვერც ერთი პარტია უარს ვერ გეტყვის, მის დასამტკიცებლად ჩვენ წარმოუდგენთ მკითხველებს შემდეგ ნომერში მათის მოქმედების სიას..."

## მე ისე ვაფასებ ჩინებს და სხვა

### ოჯახში გაგზავნილი წერილებიდან

„...ძალიან კი მეზარება გასლექილი წიგნები, ზოგიერთს რომ მოუდისთ, დამტირებელ თვალებს გაკოცებთ და ბრწყინვალე ბაგე მშვენიერს, ამისთანები სულ ცეცხლს მომიდებს ხოლმე. დალოცა ღმერთმა, თქვენ რომ ამისთანები არ იცით, გადაპრანჭულები. თორემ ბარათს შემაძულებდით".

●

„ყმაწვილებმა მიანბეს, მე ძალიან ნაგინები ვარ თურმე იმერეთში. გაპლუტდა და ქაღალდში აგებს ფულებსო და ტანისამოსიც წააგოო. არა, თურმე ქაღალდს ვთამაშობ, რომელიც შესახედავად მეზარება. ილიკოსთან იმისთვის ვიყავი წაკიდებული ხანდახან დროს გასატარებლად რათ თამაშობთქო და სიმონი ათასში ერთხელ პრაფერანს თამაშობდა ხოლმე, და ეხლა ჩემი ხათრით იმასაც აღარ თამაშობს. შენი ჭირიმე, რა ტანისამოსი მქონდა წასაგები არ იცით? მაშინ შერცხვენილი ვიქნები, რომ მაგათ ყური ვათხოვო, მაგრამ ეს კი მაწუხებს, როგორც სჩანს, თურმე მიტომ არა მწერთ წიგნს.. და ჩემი სიტყვა სიცრუეთ მიგაჩნიათ. მადლობა ღმერთს მე იმ გრძნობაში კიდევ ვარ, ჯერ სულ არ გადავრეულვარ, რომ არ ვიცოდე, კაცის ღირსება რაშიდ დგას. მე ისე ვაფასებ ჩინებს და სხვა... რომ ღმერთმა შემაჩვენოს თუ ერთი გომინჯი არ მერჩიოს". (16 აგვისტო 1860 წ.).

●

დავითის საქმე ძალიან მაწუხებს. ნეტავი ერთი კვირე აქ მოიყვანა, ნახოს და თვითვე შეიტყოს რა შემცდარია. ნეტავი ვიცოდე, რათ არ გამოდის ასტავკაში. თქვენგანაც მიკვირს, რა დაგიჟინიათ სამსახური, ან რა გგონიათ? გინდ პრაპორშჩიკი ყოფილა, გინდ კაპიტანი, სულ ერთია, ღმერთმანი. ერთ ჯიბეში თუ ფული გიდევს, მაშინ ხარ ღენერალი და თუ ორივეში, მაშინ კიდევ მეტი. ჭეშმარიტად გასაკიცხავ მდგომარეობაში არის. ვისთვის იკლავს თავს? უსარგებლო კაცია ოჯახისთვისაც და მომავლისთვისაც, სანამ მაგ თანამდებობაშიდ არის. გამოვიდეს, თვალი გაახილოს, ოჯახს ხელი მოჰკიდოს, კაცობა ქნას, მაშინ უწოდებენ კაცათ, თორემ ტრუპკები და ეპოლეტი სულ მასხარობა არის".

## ეს ბატონები ადვილი საცნობები არიან

„ადვილი საცნობები არიან ეს ბატონები: შინაგან ღირსებას მოკლებულები სცდილობენ, რომ გარეგნობით გამოიჩინონ თავი და ხალხის წინ პირბადით დაიარებიან. ძალიან გულითაც რომ ეცინებოდესთ რამეზედ, მაინც ვერ ბედავენ გაცინებას, რომ ვაი თუ ხალხმა აღარად ჩაგვაგდოს და მაშინ რაღა გვეშველებაო. ამ ქარაფშუტულ თავ-მოყვარებას სწირავენ თავის დღეს და სოფელს.

ერთ ამ ქარაფშუტათაგანს რომ ჰკითხოთ მაგალითად: — ღორს შეუძლიან გაფრენა თუ არა-თქო? ნუ გგონიათ, რომ მალე გიპასუხოსთ რამ! არა, ჯერ სახეს მოჰღრუბლამს, მოემზადება თითქოს საიდუმლოს მისაღებად და ბოლოს მოჰყვება: „ჰმ... ღორის აგებულების ასხმა გვიმტკიცებს, რომ იმას არ უნდა შეეძლოს გაფრენა. — მართალია, ამ საგანზედ თუმცა არას იხსენიებს ისტორიკოსი ბოკლი და თვით დარვინიც არას ამბობს, მაგრამ ჩემის ჰაზრით კი სწორეთ ასე უნდა იყოს, რომ ღორი ვერ უნდა გაფრინდეს!.."

●

„ერთი რამ შემინიშნავს არტისტებისათვის. უხეირო მესაკრავეები, მოჰკიდებენ თუ არა ხელს ჭიანურს, მაშინვე დაუკრავენ ხოლმე, მაგრამ ნიჭიერი არტისტები კი ჯერ სინჯავენ სიმებს. უსიამოდ აჭყიპინებ-აჭყიპინებენ და მერე, თუ შევიდნენ ეშხში, საგულისხმო და საამო რამეს დაუკრავენ. აი ამის მიზეზია, რომ ჭყიპინ-წრიპინში უფრო ბევრს დროსა ჰკარგავენ, ვინემ ნამდვილ დაკვრაში".

●

„...თ. ალ. ორბელიანისთანა ქართველ კაცს ძვირად შევხვედრივარ... როგორც მეტადრე გულჩვილ კაცს ცოტა რამ იამებოდა, ცოტა რამ ეწყინებოდა, და ამის გამო ძვირად ნახავდით, რომ ან ძალიან მხიარული არ ყოფილიყო და ან ძალიან მოწყენილი; შუათანობა არ იცოდა. ერთხელ ვნახე მხოლოდ ვითომ მოწყენილიც იყო და მხიარულიც; როდესაც ამ უჩვეულო საკვირველების მიზეზი ვკითხე, აი, რა მითხრა: „იმ დალოცვილმა გიორგი მუხრანსკიმ მაწყენინა: საჯაროდ დაიწყო მტკიცება, რომ პატარას ნება არა აქვს და ერთი ლექსი ჩამოთრეულიყოს".

[illegible] ნათქვა[illegible]... ამო, ამ[illegible] ერთი [illegible] შვილის [illegible] და ვე[illegible] აქაუ[illegible] თხავს!"

[illegible] რობაში [illegible] მე კი

და „ჩემი თავ-გადასავლის" დაბეჭდვა და რადგანაც თვითონ საშუალება არა მქონდა, ჩემი ფულით დამებეჭდა, გამოვაცხადე, რომ, ვისაც სურს შეძენა, ხელი მოაწეროს და ერთი მანეთიც წარმოადგინოს მეთქი. ამგვარად, შეგროვდებოდა რამე და გამისტუმრებდა ქაღალდისა და სტამბის ხარჯს. მაგრამ წარმოიდგინე, რომ ამდენი




## ქართველი და რუსი ერთი და იგივე არ არის

„აქ როგორც დავუკვირდი, ხალხი კი არ არის, რაღაც უგულო, ფულზე გაწუწკებული პირუტყვებია!.. ერთი დღე რომ დაგვიანდეს ფული, ან სახლიდან გამოგაგდებენ და ან ერთი ორად უნდა აძლიო. რუსისთვის აქ არც კანონია და არც სამართალი. დამცველი არავინ არის. ვერ დამიჯერებია, რომ ქართველი და რუსი ერთი და იგივე არ არის".

●

„...რომანოვი, მანდ რომ იყო, დიდი ვინმე გვეგონა, მაგრამ აქ არის ეხლა და დაეთრევა, თუ გინდა ერთი ლეკვი ჩამოთრეულიყოს".

ვერ გავიგე, [illegible]უნდა ყოფილიყო მათი [illegible] ქართულად ხმას არ იღებ[illegible] რუსულსაც ვერ ახერხებ[illegible] არა სძულთ ქართული, [illegible]ებიათ და თუ უყვარსთ[illegible], რად ვერ უსწავლიათ, [illegible]საც სხვა ენა სულ არ[illegible]

## არც ერთი ხ[illegible] ჩვენში ისე აგდებუ[illegible] არის, როგორც მ[illegible]

„...წერით, [illegible]ულია, რომ მეც ბევრს ვ[illegible]რამ რა გამოსადეგია? [illegible]თავს ვიტყუებ და ვი[illegible]ბეჭდი ადგილი არსადა [illegible] რომ დაიბეჭდება, მა[illegible] ცოტაა, აი, მა[illegible]

ხანია, თითქმის 7 თვეა, და მთელ საქართველოში მხოლოდ 38 ხელისმომწერი და მსურველი გამოჩნდა, მეტი არა. ამის შემდეგ მოდი და ნუ იტყვი, რომ ჩვენი ხალხი მხოლოდ პატივსა სცემს უფლებასა და ქონებას, თორემ ზნეობრივი იმას ყოლიფერი სამასხარო ჰგონია და მათი ღარიბ მოღვაწეების სიკვდილის შემდეგი ქება-დიდება და გვირგვინები მხოლოდ თავშესაქცევარი და საკუდაბზიკო მაიმუნობაა!.."

●

არც ერთი ხელობა ჩვენში ისე აგდებული არ არის, როგორც მწერლობა!... თავის ნაშრომ-ნაღვაწს ყველა ეპატრონება. უბრალო ჩხირი რომ ვინმემ გათალოს, ხელს დაადებს: ეს ჩემი შრომაა... ჩემი საკუთრება და სხვას ზედ უფლება არა აქვსო. ამის ყველა თანახმაა და ნაწერები კი, სადაც შრომის გარდა, ცრემლ-ნაღველიც ბევრია, არავის არ მიაჩნია ავტორის საკუთრებად — ქართული მწერლობა ისეც დაჩაგრულია მით, რომ გასავალი არა აქვს და ავტორი იძულებულია, რომ ღარიბ რედაქციებს უსასყიდლოდ დაუთმოს ხოლმე თავისი შრომა და რომ დაიბეჭდება, მაშინ იგდებენ ხოლმე ხელში. ავტორს აღარავინ რასმე ჰკითხავს და მისდა უნებურად ჰბეჭდავენ თავისს ნება-სურვილზე, ასე რომ შეცდომებსაც აღარ ასწორებინებენ პირჩი ჩალა გამოვლებულ ავტორს. ამასთან უკუღმართობასა და უზრდელობას საცენზურო კომიტეტიც ხელს უწყობს: ვინც უნდა მიუტანოს წიგნაკი, ანუ სხვების ნაწარმოებისაგან შემდგარი ბროშურა, არ ჰკითხავს: ავტორისაგან ნება გაქვს აღებული თუ არაო? ნებას აძლევს და თავს მითი მართლულობს, რომ ვითომც საცენზურო წესდების ერთი მუხლი ნებას აძლევდეს ყველას, ვინც უნდა იყოს, რომ მესამედი მთელის თხზულებისა გამოსცეს ცალკე წიგნად ავტორის ნება დაურთველად...

### ბეწვის ხიდზე

#### მოვკვდი!

დიდი მგზავრობა გამარონიეს, ბეწვის ხიდზედ გამიყვანეს და ბოლოს მომიყვანეს იქ, სადაც მართალთა სულნი განისვენებენ.

იქ დამიხვდენ მოწამის გვირგვინებით ჩვენი წინაპრები, მაგრამ მასპინძლობა კი ვერაფერი გამიწიეს: იწყინეს ჩემი დანახვა და ბრძანეს:

— ახლანდელ ქართველს აქ ჩვენთან რა უნდა?

მაგრამ იქ მდგომმა ანგელოზთა გუნდმა ხმა-ტკბილად დასძახა: „აქსიოს", მაშინ კი შემიწყრეს და ერთმა მათგანმა მკითხა საქაოს ამბავი, თუ რა მდგომარეობაშია საქართველოო.

ის იყო ანტონ კათალიკოსი. მე მოვახსენე, ყვავის-თქო! ამ სიტყვაზედ გამირისხდა და მომაძახა:

—უგნურო, შენ არ გიკითხავს ჩემი ღრამმატიკა?.. .მაგ ლექსს რად გამოაკელი ერთი ასო „ჰ" და რად დააკარგვინე მნიშვნელობა? საქართველო ჰყვავის ნიშნავს, რომ საქართველო აჰყვავებულია, ე. ი. კეთილ დღეობაშია და საქართველო ყვავის კი იმას ნიშნავს, რომ ყვავს ეკუთნისო. სიტყვა „ჰყვავის" არის ზმნა მესამე პირში და სიტყვა „ყვავის" კი სახელი არსებითი ნათესაობით ბრუნვაში და ეს როგორ არ იციო?

მე მიუგე: — თქვენ დროს რომ ზმნები და ბრუნვები იყო, დღეს ისინი აღარ გახლავან: გამოიცვალნენთქო, დღეს სულ სხვა ბრუნვასა ვხმარობთ და ნუ შემრისხავთ, მე უბრალო ვარ მეთქი!

## ნიკურტი

„...თქვენი პორტრეტი კი არ მინდა მქონდეს! განა იმიტომ, რომ არ მესიამოვნება?.. არა!.. ვიცი, რომ ერთ ალაგას არ გაჩერდება. მაშინვე ფეხს აიდგამს, იტყვის: საქმე მაქვსო და გაქანდება!.." (ტასო მაჩაბლისადმი).

„ერთი მეც ვესროლე ძველ წელიწადს, შე[illegible]მერელის" კეთებას!.. აქ სხვა რამ არ იფიქროთ: „იმერელს" მე[illegible] ვეძახი".

„...რადგანაც ხვალ მივდივარ ტფილისში და შენი უნახაობა კი ვერ მომითმენია, მიშუამდგომლე შენ ცხენთან, რომ თუ მე არა მცემს პატივს, ჩემ ხადილს მაინცა სცეს პატივი და ხადილად ჩემთან ამოგიყვანოს". (ბეჟან წერეთლისადმი).



ზიო დოესელის ნახატები.

## ჩურჩხელის სალამური

### (წერილი რედაქციის მიმართ)

ჩემდა სამწუხაროდ, ხელი არ მივარგა... გარკვევით ვერა ვსწერ და ეს, ალბად, ისე უჭირვებს საქმეს — ასოთ ამწყობთ და კორექტორს, რომ ჩემი ნაწერები ყოველთვის შიგა და შიგ გადასხვაფერებულად იბეჭდება ხოლმე. რომ ეს ჭირი ავიცდინო, მევე უნდა გავხდე ასოთ-ამწყობადაც და კორექტორადაც, რაც მოუხერხებელია. უკანასკნელი ჩემი სტატიაც, „უბრალო საუბარი", ვერ ასცდა ამ ნაკლს. იმ წვრილმანებს, რომელიც უცხო სიტყვებს ამახინჯებს, აღარ გამოვუდგებით და მხოლოდ მივუთითებთ მისთანაზე, რომელიც აზრსაცა სცვლის. მაგალითად:

| მე მაქვს ნახმარი: | დაბეჭდილია: |
|---|---|
| სადაც | — რადაც |
| ბუქი | — სუქი |
| სახმილი | — სახმოლ |
| ჰსჭირს | — უჭირს |
| გადაგრეხილი | — გადმოგრეხილი |
| ჰგმირავდნენ | — ფარგლავდნენ |
| ოლოითერნებს | — ოლთერნებს |
| აბრუნებიებდნენ | — აბრუნებდნენ |
| თამარობა | — თამრობა |
| ჩაკვრივებული | — ჩაკვირვებული |
| ზემოური | — ზომიერი |
| აფუჩეჩებს | — აფუჭებს |
| მოსასურსუმალებლად | — მოსასურიელებლად, |

და სხვანი.

ბოდიშს ვიხდი მკითხველებთან, რომ ამგვარ წვრილმანობაზე ვაცდენ, მაგრამ მეც ისე მემართება, ერთ მეძღვნეს რომ უთქვამს: „მე ხაჭაპური მივართვი ბატონს, მაგრამ გზაში მეძღვნემ ყველი ამოჭამა და ბატონამდი აღარც ხაჭაპური მისულა და აღარც წმინდა უბრალო პურიო".



— კარგი მწერალი ხარ, ჩემო გიგო, მაგრამ ჩემი ლექსების სწორება შენი საქმე მაინც არ არის!

### გასართობი

#### შესხმა რედაქციისადმი

(აი რას ნიშნავს კორექტურული შეცდომა)

შეცდომით დაბეჭდილი:

ბატონო გაზეთის გამომცემელო! მართლა რომ რქიანი ვაცი ბრძანებულხართ და თქვენი გრძნობაგუნებაც ვაცური ყოფილა. როგორც ბრმა მეცნიერს, გეტყობათ, რომ სულწასულზედ, კუპატზე და მომავალ ვალზედ ჰფიქრობთ და მიტომაც თქვენი მატლიანი შრომა სანატრელია. ჭეშმარიტად ღირსი ხართ ამხანაგებმა მიგბაწრონ და ცოლებმაც გილალატონ ყოველ ღამ რქებისა შესხმით.

ავ-ავი

უნდა ყოფილიყო:

ბატონო გაზეთის გამომცემელო! [illegible]

## ოთხპირიანი ჭკნა

### ქართული ენის ახალი განმარტებითი ლექსიკონი

# ჭ

**ჭაბუკური** — ბუკისებრი ჭა
**ჭადარი** — ჭაშია ჩასული (ვინმე)
**ჭაობიანი** — ობმოკიდებული ჭა
**ჭაპანწყვეტა** — ტვირთის საკიდურის გაწყვეტა
**ჭარმაგი** — (დიალ. მთიულ.) დაიჭირე ეგა
**ჭაჭა** — ორი ჭა
**ჭიმვადობა** — (სპორტ) აჭიმვის ხანგრძლივობა (ტანვარჯიშში)
**ჭიპჭიპი** — ორი ჭიპი
**ჭირნახული** — ომის ვეტერანი
**ჭერი** — განაგრძე ჭრა
**ჭიაკოკონა** — კონებად შეკრული ჭიები (მაგ. მეთევზისათვის)
**ჭინჭილები** — (დიალ. დასავლ.) ძონძებისაგან შეკერილი ლეიბი
**ჭორომი** — ჭორის მიზეზით ატეხილი ჩხუბი
**ჭუკჭუკი** — 1. (გურ.) ორი ჭუკი
2. (მეგრ.) ორი თაგვი

ლექსიკონის შედგენაში მონაწილეობდნენ: **ივერი აბრამიშვილი** (საჩხერის რაიონი, სოფელი იცქისი), **მანანა ალადაშვილი** (სიღნაღის რაიონი, სოფელი ჯუგაანი), **ირმა და მაგული ბეგიაშვილები** (გარდაბნის რაიონი, სოფელი კუმისი), **ნონა გაფრინდაშვილი** (საჩხერის რაიონი, სოფელი სავანე), **ნატო კერესელიძე** (გორი), **მაკარ მაქაცარია** (სოხუმი), **ნინო მეხხიძე** (რუსთავი), **თამთა და ნინო მიქელაძეები** (ქუთაისი), **ჯანო ონიანი** (ქუთაისი), **ტარიელ უფლისაშვილი** (ჭიათურის რაიონი, სოფ. რცხილათი), **ნანა ქათამაძე** (ზესტაფონის რაიონი, სოფ. ქვედა საქარა), **დავით ღოლიჯაშვილი** (თბილისი), **ბექან ხევიაშვილი** (გურჯაანის რაიონი, სოფ. კოლაგი).

### ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები

(მოძველებულ და გაახლებულ — არაქართულ სიტყვათა ბრუნვა წარსულსა და აწმყო დროში)

| წარსულში | აწმყოში |
|---|---|
| სახელობითი — სამაჩაბლო | სახელობითი — არაფორმალი |
| მოთხრობითი—რევოლუციონერ-მა | მოთხრობითი — დემოკრატია-მ |
| მიცემითი — პროლეტარებ-ს | მიცემითი — გარდაქმნა-ს |
| ნათესაობითი — ინტერნაციონალისტებ-ის | ნათესაობითი — პლურალიზმ-ის |
| მოქმედებითი — იდეებ-ით | მოქმედებითი — საჯაროობ-ით |
| ვითარებითი — ავტონომი-ად | ვითარებითი — ოპოზიციონერ-ად |
| წოდებითი — უქცია-ო! | წოდებითი — უქცია-ო! |

რომან გვიშიანი
(გორის რ-ნი, სოფ. ქვემო-ხვითი)

### პალინდრომი

#### 150 წლის აკაკი წერეთელს

მოხსენებითი ბარათი ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ

სამრეწველო ქვა რა ნახა რახან არ ავქოლე, ვწერ მას!
ასრე დავწერ: მალთ ერეწათ, აწერეთლა მრეწვად ერსა,
ველად ესა ცას ეზმანა, განა მზესაც ასე დალევ?
ცან, ადექი და ვინ დექით იქედნივად იქედანაც
თიხას — ორ თასს, ავსა, რუხი ჩიხურა სვას სათრო სახით;
ერა ოდნავ არ აშავა, ავაშარავანდო არე,
ვერაგ თიხასა ნახშირად დარიშხანა სახით გარევ,
და ველად სიმად ენავა სავანედ ამის დალევად,
ენავა სავანე და მის სიმად ენა ვასავანე;
ასი სამთამადნო ქანი წინა ქონდა მათ მასისა,
ასდრადა რუთა იჭვალო, ბოლავ ჭიათურა დარდსა,
ერი აშავა რა ცანი ვინაც არ ავაშაირე,
ცოდნას ოდნავ არ დაშორდა და დროშად რა ვანდო სანდოც
დასი მონაცვარევ ცისი, მისიც ვერა ვცანო მისად,
ცას ის იმ წასევით ამცნე შენც მათივე საწმისისაც
ასიზმარ — ამზისსიზმარე კერა მზის სიზმარა მზისა,
და სიზმარა ცა სადროშო მოშორდა საცა რა მზისად —
ო, ადარა ქორ-შავარდნამ, მანდ რა ვაშრო ქარადაო,
აცინეს და მაცემინეს, სენი მეცა მად, სენიცა,
სენი მეცა, მომცინა და... მადანიც მომაცემინეს...
ეფემერათა მინა — ცა რა ცანი, მათ არ ემეფე,
ადე, ნუ დალევ რა, ქუხილს, ლიხ — უქარველა, დუნედა,
ასე ნამა საიბერო, გორები ასამანესა,
ასედვე სად არა მცანი, ვინაც მარად ასევდესა,
ასევ, ქვათა დანარევად და ვერანად ათავქვესა,
ას ერგასად ამა წელთა ნათლე, წამად ასაგრესა...

ივერი ხრეველი




„ილიკოსა და ილარიონის" საბჭო: ზურაბ ასკანელი (კლუბის ხელმძღვანელი) ლევან ბრეგაძე, ზიო დოესელი (მხატვარი), ფელიქს კოჭიაშვილი, ბიზო ჭელიძე, ივერი ხრეველი.

საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში გამოქვეყნებული კარიკატურები — ჟურნალისტ დავით ბუზუკაშვილის არქივიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადებები

# თბილისის
## ივანე ჯავახიშვილის სახელობის
# სახელმწიფო უნივერსიტეტი

**აცხადებს მიღებას 1990-91 სასწავლო წელს შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:**

### ქართული სექტორი

**მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი**
(დღის სწავლების ფორმა)
**სპეციალობა** — „მათემატიკა“

**კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი**
(დღის სწავლების ფორმა)
**სპეციალობები** — „გამოყენებითი მათემატიკა“, „გამოყენებითი ლინგვისტიკა“.

**ფიზიკის ფაკულტეტი**
(დღის სწავლების ფორმა)
**სპეციალობები** — „ფიზიკა“, „რადიოფიზიკა და ელექტრონიკა“, „მიკროელექტრონიკა და ნახევრადგამტარული ხელსაწყოები“.

**ქიმიის ფაკულტეტი**
(დღისა და საღამოს სწავლების ფორმა)
**სპეციალობა** — „ქიმია“.

**ბიოლოგიის ფაკულტეტი**
(დღის და საღამოს სწავლების ფორმა)
**სპეციალობა** — „ბიოლოგია“.

**გეოგრაფია — გეოლოგიის ფაკულტეტი**
**სპეციალობები** — „გეოგრაფია“ (დღისა და საღამოს სწავლების ფორმა),
„მეტეოროლოგია“ (დღის სწავლების ფორმა),
„გეოლოგიური აგეგმვა და ძებნა-ძიება“ (დღის სწავლების ფორმა),
„ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდები“ (დღის სწავლების ფორმა).

**ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი**
(დღის სწავლების ფორმა),
სპეციალობები — „ფილოსოფია“, „სოციოლოგია“, „ფსიქოლოგია“.

**ისტორიის ფაკულტეტი**
**სპეციალობები** — „ისტორია“ (დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების ფორმა),
„ხელოვნებათმცოდნეობა“ (დღის სწავლების ფორმა).

**იურიდიული ფაკულტეტი**
(დღის სწავლების ფორმა),
**სპეციალობა** — „სამართლისმცოდნეობა“.

**ჟურნალისტიკის ფაკულტეტი**
(დღის და საღამოს სწავლების ფორმა),
**სპეციალობა** — „ჟურნალისტიკა“.

**ფილოლოგიის ფაკულტეტი,**
**სპეციალობები** — „ქართული ენა და ლიტერატურა“.
(დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების ფორმა), „ქართული ენა და ლიტერატურა“ დამატებითი სპეციალობით „ბერძნული ენა და ლიტერატურა“ (დღის სწავლების ფორმა).

**დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი**
**სპეციალობები** — „ინგლისური ენა და ლიტერატურა“ (დღის და საღამოს სწავლების ფორმა), „გერმანული ენა და ლიტერატურა“ (დღის და საღამოს სწავლების ფორმა), „ფრანგული ენა და ლიტერატურა“ (დღის სწავლების ფორმა).

**აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი**
(დღის სწავლების ფორმა),
**სპეციალობები**—„სემიტოლოგია“ (არაბული ენა და ლიტერატურა, ებრაული ენა და ლიტერატურა)“, „სპარსული ენა და ლიტერატურა“, „თურქული ენა და ლიტერატურა“, „სომხური ენა და ლიტერატურა“, „არაბული ქვეყნების ისტორია“, „ირანის ისტორია“, „თურქეთის ისტორია“.

**ეკონომიკის ფაკულტეტი**
**სპეციალობები** — „პოლიტიკური ეკონომია“ (დღის სწავლების ფორმა), „ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვა“ (დღის, საღამოს, და დაუსწრებელი სწავლების ფორმა), „ფინანსები და კრედიტები“ (დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების ფორმა), „სტატისტიკა“ (დღის და საღამოს სწავლების ფორმა), „შრომის ეკონომიკა და სოციოლოგია“ (დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების ფორმა), „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“ (დღის სწავლების ფორმა), „ფასწარმოქმნა“ (დღის სწავლების ფორმა), „წარმოების ეკონომიკა და მართვა“ (დღის სწავლების ფორმა).

**საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი**
**სპეციალობები** — „ეკონომიკა და მართვა მანქანათმშენებლობაში“ (დღის და დაუსწრებელი სწავლების ფორმა), „ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში“ (დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების ფორმა), „ეკონომიკური ინფორმატიკა და მართვის ავტომატიზებული სისტემები“, (დღის და საღამოს სწავლების ფორმა), „ეკონომიკური კიბერნეტიკა“ (დღის სწავლების ფორმა), „ეკონომიკა და მართვა საყოფაცხოვრებო და საბინაო-კომუნალურ მომსახურებაში, საქალაქო მეურნეობაში“ (დღის და საღამოს სწავლების ფორმა), „ეკონომიკა და მართვა კავშირგაბმულობაში“ (დღის სწავლების ფორმა), „საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ეკონომიკა და მართვა“ (საღამოს სწავლების ფორმა), „ეკონომიკა და მართვა სოციალურ-კულტურულ სფეროში (ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკისა და მართვის სპეციალიზაციით)“ — (დღის სწავლების ფორმა).

**ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტი**
**სპეციალობები** — „ეკონომიკა და მართვა ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში“ (დღის და დაუსწრებელი სწავლების ფორმა), „მატერიალური რესურსების მართვა და წარმოების საშუალებებით საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაცია“ (დღის და საღამოს სწავლების ფორმა), „არასასურსათო საქონლის საქონელმცოდნეობა“ (დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების ფორმა), „სასურსათო პროდუქტების საქონელმცოდნეობა“ (დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების ფორმა).

### შემსვლელები გამოცდებს აბარებენ შემდეგ დისციპლინებში:

**სპეციალობებზე:** „მათემატიკა“, „გამოყენებითი მათემატიკა“, „გეოლოგიური აგეგმვა და ძებნა-ძიება“, „ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდები“, „ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში“, „ეკონომიკა და მართვა კავშირგაბმულობაში“, „ეკონომიკა და მართვა მანქანათმშენებლობაში“, „ეკონომიკური ინფორმატიკა და მართვის ავტომატიზებული სისტემები“, „ეკონომიკური კიბერნეტიკა“, „საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ეკონომიკა და მართვა“, „ეკონომიკა და მართვა სოციალურ-კულტურულ სფეროში“.
— მათემატიკა (წერა და ზეპირი), ფიზიკა (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

**სპეციალობებზე „ფიზიკა“, „რადიოფიზიკა და ელექტრონიკა“, „მიკროელექტრონიკა და ნახევრადგამტარული ხელსაწყოები“**
— ფიზიკა (ზეპირი), მათემატიკა (წერა და ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);
**სპეციალობაზე „ქიმია“**
— მათემატიკა (წერა), ქიმია (წერა), ფიზიკა (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);
**სპეციალობაზე „ბიოლოგია“**
მათემატიკა (წერა), ბიოლოგია (წერა), ქიმია (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა),
**სპეციალობებზე: „გეოგრაფია“, „მეტეოროლოგია“.**
— მათემატიკა (წერა და ზეპირი), გეოგრაფია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);
**სპეციალობაზე „ფსიქოლოგია“**
— მათემატიკა (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი);
**სპეციალობებზე: „ფილოსოფია“, „სოციოლოგია“**
— საზოგადოებათმცოდნეობა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), რუსული ან უცხო ენა — არჩევით (ზეპირი);
**სპეციალობებზე: „ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვა“, „ფინანსები და კრედიტი“, „ფასწარმოქმნა“, „წარმოების ეკონომიკა და მართვა“, „სტატისტიკა“, „შრომის ეკონომიკა და სოციოლოგია“, „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“**

— მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

**სპეციალობებზე: „სასურსათო პროდუქტების საქონელმცოდნეობა“, „არასასურსათო საქონლის საქონელმცოდნეობა“, „ეკონომიკა და მართვა საყოფაცხოვრებო და საბინაო-კომუნალურ მომსახურეობაში, საქალაქო მეურნეობაში“**

— მათემატიკა (წერა და ზეპირი), ქიმია (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);
**სპეციალობებზე: „სემიტოლოგია“, „სპარსული ენა და ლიტერატურა“, „თურქული ენა და ლიტერატურა“, „სომხური ენა და ლიტერატურა“, „არაბული ქვეყნების ისტორია“, „ირანის ისტორია“, „თურქეთის ისტორია“, „ჟურნალისტიკა“**
— ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), რუსული ან უცხო ენა — არჩევით (ზეპირი);
**სპეციალობებზე: „ქართული ენა და ლიტერატურა“, „ისტორია“**
— ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი);
**სპეციალობაზე „ხელოვნებათმცოდნეობა“**
— ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), ხელოვნებათა ისტორია (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი);
**სპეციალობებზე: „ინგლისური ენა და ლიტერატურა“, „ფრანგული ენა და ლიტერატურა“, „გერმანული ენა და ლიტერატურა“**
— შესაბამისი უცხო ენა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი);
**სპეციალობაზე „სამართლისმცოდნეობა“**
— ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი), რუსული ან უცხო ენა — არჩევით (ზეპირი), საბჭოთა სახელმწიფოს და სამართლის საფუძვლები (ზეპირი);
**სპეციალობაზე „გამოყენებითი ლინგვისტიკა“**
— მათემატიკა (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი);
**სპეციალობაზე „პოლიტეკონომია“**
— საზოგადოებათმცოდნეობა (ზეპირი), მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

### რუსული სექტორი

**კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი**
(დღის სწავლების ფორმა)
**სპეციალობა** — „გამოყენებითი მათემატიკა“.

**ფიზიკის ფაკულტეტი**
(დღის სწავლების ფორმა)
**სპეციალობა** — „ფიზიკა“, „რადიოფიზიკა და ელექტრონიკა“.

**იურიდიული ფაკულტეტი**
(საღამოს სწავლების ფორმა)
**სპეციალობა** — „სამართლისმცოდნეობა).

**ჟურნალისტიკის ფაკულტეტი**
(დღისა და საღამოს სწავლების ფორმა)
**სპეციალობა** — „ჟურნალისტიკა“.

**ფილოლოგიის ფაკულტეტი**
**სპეციალობები** — „რუსული ენა და ლიტერატურა“
(დღისა და საღამოს სწავლების ფორმა),
„რუსული ენა და ლიტერატურა“ დამატებითი სპეციალობით „ბერძნული ენა და ლიტერატურა“ (დღის სწავლების ფორმა).

### შემსვლელები გამოცდებს აბარებენ შემდეგ დისციპლინებში:

**სეპციალობაზე „გამოყენებითი მათემატიკა“**
—მათემატიკა (წერა და ზეპირი), ფიზიკა (წერა), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა);
**სპეციალობებზე: „ფიზიკა“, „რადიოფიზიკა და ელექტრონიკა“**
— ფიზიკა (ზეპირი), მათემატიკა (წერა და ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა);
**სპეციალობებზე: „რუსული ენა და ლიტერატურა“, „ბერძნული ენა და ლიტერატურა“, „ჟურნალისტიკა“.**
— რუსული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი), სსრკ ისტორია ან საქართველოს ისტორია — არჩევით (ზეპირი);
**სპეციალობაზე „სამართლისმცოდნეობა“ (საღამოს სწავლების ფორმა)**
— რუსული ენა და ლიტერატურა (წერა), სსრკ ისტორია ან საქართველოს ისტორია — არჩევით (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი), საბჭოთა სახელმწიფოს და სამართლის საფუძვლები (ზეპირი).

## სოხუმის ფილიალში

### ქართული სექტორი

**დღის სწავლების ფორმა**
**სპეციალობებზე:** „ქართული ენა და ლიტერატურა“, „ინგლისური ენა და ლიტერატურა“, „გერმანული ენა და ლიტერატურა“, „ისტორია“, „სამართლისმცოდნეობა“, „მათემატიკა“, „გამოყენებითი მათემატიკა“, „ფიზიკა“, „ბიოლოგია“, „გეოგრაფია“, „წარმოების ეკონომიკა და მართვა“, „სამეურნეო საქმიანობის საბუღალტრო აღრიცხვა, კონტროლი და ანალიზი“, „დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა“, „პედაგოგიკა და ფსიქოლოგია“, „ფიზიკური კულტურა“.
**დაუსწრებელი სწავლების ფორმა**
„ქართული ენა და ლიტერატურა“, „სამეურნეო საქმიანობის საბუღალტრო აღრიცხვა, კონტროლი და ანალიზი“.

### რუსული სექტორი

**დღის სწავლების ფორმა**
**სპეციალობებზე:** „რუსული ენა და ლიტერატურა“, „ისტორია“, „ბიოლოგია“, „წარმოების ეკონომიკა და მართვა“ .

### შემსვლელები გამოცდებს აბარებენ შემდეგ დისციპლინებში:

**ქართული სექტორი**
**სპეციალობებზე: „ქართული ენა და ლიტერატურა“, „ისტორია“.**
— ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი);

**სპეციალობებზე: „ინგლისური ენა და ლიტერატურა“, „გერმანული ენა და ლიტერატურა“**
— შესაბამისი უცხო ენა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი);

**სპეციალობაზე „სამართლისმცოდნეობა“**

— ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი), რუსული ან უცხო ენა — არჩევით (ზეპირი);

**სპეციალობებზე: „მათემატიკა“, „გამოყენებითი მათემატიკა“**

— მათემატიკა (წერა), ფიზიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა;)

**სპეციალობაზე „ფიზიკა“.**
— ფიზიკა (ზეპირი), მათემატიკა (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

**სპეციალობაზე „ბიოლოგია“**
— ბიოლოგია (წერა), მათემატიკა (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);
**სპეციალობებზე: „გეოგრაფია“, „წარმოების ეკონომიკა და მართვა“, „სამეურნეო საქმიანობის საბუღალტრო აღრიცხვა, კონტროლი და ანალიზი“**
— მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);
**სპეციალობაზე „დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა“**
— ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი);
**სპეციალობაზე „პედაგოგიკა და ფსიქოლოგია“**

— ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი) ბიოლოგია (ზეპირი).
**სპეციალობაზე „ფიზიკური კულტურა“**
— მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ცურვა; ბიოლოგია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

### რუსული სექტორი

**სპეციალობებზე: „რუსული ენა და ლიტერატურა“, „ისტორია“**

— რუსული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), სსრკ ისტორია (ზეპირი);

**სპეციალობაზე „ბიოლოგია“**
— ბიოლოგია (წერა), მათემატიკა (წერა), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა);
**სპეციალობაზე „წარმოების ეკონომიკა და მართვა“.**
— მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა).

## ახალციხის ფილიალში

### ქართული სექტორი

**სპეციალობებზე: „ქართული ენა და ლიტერატურა“, „ისტორია“, „ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვა“ (სოფლის მეურნეობის დაგეგმვის სპეციალიზაციით).**

### შემსვლელები გამოცდებს აბარებენ შემდეგ დისციპლინებში:

**სპეციალობებზე: „ქართული ენა და ლიტერატურა“, „ისტორია“**
— ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი);

დაუსწრებელ განყოფილებებზე უგამოცდოდ, გასაუბრების შედეგების მიხედვით ჩაირიცხებიან სოფლის სასწავლო, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულების მასწავლებლები, აღმზრდელები, მასობრივი მუშაობის ორგანიზატორები, საწარმოო სწავლების ოსტატები, ბიბლიოთეკარები, რომელთაც აქვთ მხოლოდ საშუალო განათლება, სოფლის სასწავლო დაწესებულებებში მუშაობის არა ნაკლებ 2 წლის სტაჟი (1990 წლის 1 სექტემბრისათვის) და რომელთა ასაკი არ აღემატება 35 წელს.

აღნიშნული კატეგორიის აბიტურიენტები, გარდა მასობრივი მუშაობის ორგანიზატორებისა, უგამოცდოდ ჩარიცხვის უფლებით სარგებლობენ მხოლოდ მათი მუშაობის პროფილის შესაბამის სპეციალობებზე. მასობრივი მუშაობის ორგანიზატორებს უფლება აქვთ საბუთები შეიტანონ დაუსწრებელი განყოფილების ნებისმიერ სპეციალობაზე.

აღნიშნული კატეგორიის აბიტურიენტებისაგან საბუთებს მიიღებენ ზონების გათვალისწინების გარეშე.

აღნიშნული კატეგორიის აბიტურიენტები გასაუბრებას გაივლიან 2 საგანში. გასაუბრების შედეგები შეფასდება 3 კრიტერიუმით: მომზადებულია კარგად, მომზადებულია საშუალოდ და არ არის მომზადებული. გასაუბრებაზე ერთნაირი შეფასების პირობებში ჩარიცხვის უპირატესობა მიენიჭება სკოლის მასწავლებელს, ხოლო მათ შორის თანაბარი შეფასების შემთხვევაში — სოფლის სასწავლო და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესებულებებში უფრო ხანგრძლივი მუშაობის სტაჟის მქონეს. იგივე წესი გავრცელდება სოფლის სკოლების ბიბლიოთეკარებზე.

გასაუბრებაზე აბიტურიენტებისაგან საბუთები მიიღება 1990 წლის 15 ივნისიდან 25 ივნისამდე (ჩათვლით). გასაუბრება ჩატარდება 27-29 ივნისს.

გასაუბრება სპეციალობების მიხედვით ჩატარდება შემდეგ საგნებში: 1. „ქართული ენისა და ლიტერატურის" სპეციალობაზე — ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია;

2. „ისტორია" — საქართველოს ისტორია, ქართული ენა და ლიტერატურა;

3. „დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა" — მათემატიკა, ქართული ენა და ლიტერატურა;

**სპეციალობაზე „ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვა"**

— მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

1. საშუალო სკოლის დამთავრებისას ოქროს (ვერცხლის) მედლით დაჯილდოებულნი, საშუალო სპეციალური ან საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის წარჩინების დიპლომით კურსდამთავრებულები აბარებენ ერთ გამოცდას, რომელიც ჩამონათვალში დასახელებულია პირველი. შეფასების „ხუთი" მიღების შემთხვევაში ისინი თავისუფლდებიან დანარჩენი გამოცდებისაგან და ჩაირიცხებიან უმაღლეს სასწავლებელში, ხოლო შეფასება „ოთხი" ან „სამი" მიღების შემთხვევაში აბარებენ დანარჩენ გამოცდებს.

იმ პირებზე, რომლებმაც საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრეს წარჩინების დიპლომით საშუალო განათლების ბაზაზე, აღნიშნული წესები ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი შედიან მიღებული პროფესიის შესატყვის სპეციალობებზე.

**შენიშვნა:** საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფორმაზე შესვლისას პირველი პუნქტის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც არანაკლებ ერთი წელი მუშაობენ არჩეული სპეციალობის პროფილით, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში თადარიგში დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეებზე, საშუალო სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულებზე, რომლებიც შედიან მონათესავე სპეციალობებზე.

2. შემსვლელები მიღების შესახებ განცხადებას თან დაურთავენ საშუალო განათლების საბუთის დედანს, სამედიცინო ცნობას ფორმით № 086-უ, ამონაწერს შრომის წიგნაკიდან (მუშაობის სტაჟის მქონეთათვის), 6 ფოტოსურათს ზომით 3X4, წარმოადგენენ პასპორტს.

„ჟურნალისტიკის", „გეოგრაფიის", „ბიოლოგიის" სპეციალობების საღამოს და დაუსწრებელი სწავლების ფორმაზე შემსვლელებს მოეთხოვებათ არჩეული სპეციალობის პროფილით მუშაობა.

საღამოს სწავლებაზე განცხადებები მიიღება იმ პირთაგან, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ ქალაქებში: თბილისი, რუსთავი, მცხეთა და ქ. თბილისის მიმდებარე დასახლებულ პუნქტებში.

**შენიშვნა:** შრომის ან კოლმეურნის წიგნაკიდან ამონაწერი უნდა იყოს შევსებული ორგანიზაციის ბლანკზე ან შტამპდასმულ ფურცელზე რეგისტრაციის ნომრისა და საბუთის გაცემის თარიღის აღნიშვნით და უნდა იყოს დამოწმებული წარმოების ან დაწესებულების ხელმძღვანელის პირადი ხელმოწერით და მრგვალი ბეჭდით.

3. ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე შემსვლელებისათვის 10-დან 14 ივლისამდე ჩატარდება შემოქმედებითი კონკურსი, რომლის მიზანია აბიტურიენტთა ჟურნალისტიკური პროფესიისადმი ნიჭისა და მიდრეკილების გამოვლინება.

4. ჩარიცხვა გამოცდების შედეგების მიხედვით ტარდება საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების მოქმედი წესების მიხედვით.

5. ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე შემსვლელთათვის განცხადებები მიიღება ყოველდღე გარდა კვირისა 25 ივნისიდან 9 ივლისის ჩათვლით, ხოლო დანარჩენ ფაკულტეტებზე — 25 ივნისიდან 14 ივლისის ჩათვლით, 9 საათიდან 14 საათამდე. დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება ღია კარის დღეს, რომელიც ჩატარდება 24 ივნისს:

თბილისში — უნივერსიტეტის მთავარ კორპუსში, ილ. ჭავჭავაძის გამზირი, 1, ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე შემსვლელთათვის 11 საათიდან, ხოლო საბუნებისმეტყველო და ეკონომიკურ ფაკულტეტებზე შემსვლელთათვის — 16 საათიდან.

**სოხუმში — თსუ სოხუმის ფილიალის შენობაში, მშვიდობის გამზ. 174; დასაწყისი 18 საათზე;**

**ახალციხეში — თსუ ახალციხის ფილიალის შენობაში, რუსთაველის ქ., 81, დასაწყისი — 18 საათზე.**

ცნობათა ბიურო მუშაობს 9-დან 18 საათამდე, შესვენება 13-დან 14 სათამდე, შაბათს 10-დან 14 საათამდე.

ტელეფონები — თბილისში — 31-47-92, 31-47-93;

სოხუმი — 2-19-35;

ახალციხეში — 2-01-77.

საბუთების მიღება და მისაღები გამოცდები ჩატარდება;

**თბილისში — საბურთალო, უნივერსიტეტის ქ., 2, თსუ მაღლივ კორპუსში;**

**სოხუმში — მშვიდობის გამზირი, 174, თსუ სოხუმის ფილიალში;**

**ახალციხეში — რუსთაველის ქ., 81, თსუ ახალციხის ფილიალში.**

**მიმღები კომისია**

# თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

აცხადებს მიღებას 1990-1991 სასწავლო წლისათვის წარმოებისაგან მოწყვეტით შემდეგ სპეციალობებსა და სპეციალიზაციებზე:

**სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი:** ფერწერა (სპეციალიზაცია: დაზგური და მონუმენტური ფერწერა, თეატრალურ-დეკორაციული ფერწერა, დაზგური და მონუმენტური ფერწერის რესტავრაცია, კინო და ტელევიზიის მხატვრობა), გრაფიკა (სპეციალიზაცია: დაზგური გრაფიკა, მულტიპლიკაციური ფილმების სახვითი გადაწყვეტა), ქანდაკება.

**არქიტექტურის და ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი:** სამოქალაქო არქიტექტურა, არქიტექტურული ძეგლების რესტავრაცია; ლანდშაფტის არქიტექტურა; ქალაქის, სოფლისა და საპარკო კომპლექსების მხატვრულ-არქიტექტურული გაფორმება. მონუმენტური დეკორატიული ხელოვნება: მონუმენტურ-დეკორატიული მოხატვა; არქიტექტურულ-დეკორატიული პლასტიკა. ხელოვნების ისტორია და თეორია.

**დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი**

**დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება** (სპეციალიზაცია: მხატვრული კერამიკა, მხატვრული მინა, ლითონისა და სხვა მასალათა მხატვრული ნაკეთობანი, გამოყენებითი გრაფიკა), ინტერიერი და მოწყობილობა (სპეციალიზაცია: ინტერიერის პროექტირება, ავეჯის პროექტირება, ავეჯის დეკორატიული ქსოვილები); დიზაინი; საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის მხატვრული პროექტირება (სპეციალიზაცია: ტანსაცმლის მხატვრული პროექტირება, ტრიკოტაჟის ნაწარმის მხატვრული პროექტირება, ტყავგალანტერეის ნაწარმისა და ფეხსაცმლის მხატვრული პროექტირება).

სამხატვრო აკადემიაში მისაღები გამოცდები ტარდება სპეციალობებისა და სპეციალიზაციების მიხედვით.

**სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის** ყველა სპეციალობასა და სპეციალიზაციაზე შემსვლელნი აბარებენ შემდეგ გამოცდებს:

**დაზგური და მონუმენტური ფერწერა:** 1. „ტორსი" (ტილო, ზეთი), 2. „რთული ნატურმორტი" (ტილო, ზეთი), 3. „შიშველი ფიგურა" (ხატვა), 4. კომპოზიცია მოცემულ თემაზე (ტილო, ზეთი), 5. ქართული ენა და ლიტერატურა. (წერა).

**დაზგური და მონუმენტური დეკორატიული ფერწერის რესტავრაცია:**

1. „ტორსი" (ტილო, ზეთი), 2. „რთული ნატურმორტი" (ტილო, ზეთი.) 3. „შიშველი ფიგურა" (ხატვა), 4. მოცემული სურათის ასლი (ტილო, ზეთი). 5. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

**თეატრალურ-დეკორაციული ფერწერა:** 1. „ტორსი" (ტილო, ზეთი). 2. „რთული ნატურმორტი" (ტილო, ზეთი), 3. „შიშველი ფიგურა" (ხატვა), 4. კომპოზიცია მოცემულ თემაზე (ტილო, ზეთი), 5. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

**კინო და ტელევიზიის მხატვრობა.** 1. „ტორსი" (ტილო, ზეთი), 2. „რთული ნატურმორტი" 3. „შიშველი ფიგურა" (ხატვა), 4. კომპოზიცია მოცემულ თემაზე სპეციალობის მიხედვით (ტილო, ზეთი), 5. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

**გრაფიკის სპეციალობა:** დაზგური გრაფიკის სპეციალობაზე შემსვლელნი აბარებენ: 1. „ტორსი" (წყლის საღებავები), 2. „შიშველი ფიგურა" (ხატვა), 3. „ცოცხალი მოდელის თავი" (ხატვა), 4. კომპოზიცია მოცემულ თემაზე (ფანქარი), 5. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

**მულტიპლიკაციური ფილმების სახვითი გადაწყვეტა:**

1. „ტორსი" (წყლის საღებავები), 2. „რთული ნატურმორტი" (წყლის საღებავები), 3. „შიშველი ფიგურა" (ხატვა), 4. კომპოზიცია მოცემულ თემაზე (ქაღალდი, ტუში, აქვარელი), 5. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

**ქანდაკება:** 1. „ცოცხალი მოდელის თავი" (ძერწვა, თიხა), 2. „თაბაშირის თავის ასლი" (ძერწვა, თიხა), 3. შიშველი ფიგურა" (ხატვა), 4. კომპოზიცია მოცემულ თემაზე (ძერწვა, თიხა, პლასტილინი), 5. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

**დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი:** ყველა სპეციალობასა და სპეციალიზაციაზე შემსვლელნი აბარებენ: 1. „ნატურმორტი" (წყლის საღებავები). 2. თაბაშირის ფიგურა ან ტორსი (ხატვა), 3. კომპოზიცია სპეციალობის მიხედვით (წყლის საღებავები). 4. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

**შენიშვნა: კერამიკის, მინის, ლითონისა და სხვა მასალათა მხატვრული ნაკეთობების** სპეციალიზაციებზე შემსვლელნი აბარებენ ფერწერაში მოცემულობას — „ნატურმორტი" ან ქანდაკებაში მოცემულობას „თაბაშირის თავის ასლი" (ძერწვა), სურვილის მიხედვით.

**არქიტექტურის სპეციალობაზე შემსვლელნი აბარებენ:** 1. „ნატურმორტი" (წყლის საღებავები), 2. „თაბაშირის თავი" (ხატვა), 3. ხაზვა „გეომეტრიული ხაზვა შეღლებით" და „ორთოგონალური გეგმილები და აქსონომეტრიული აგება ჩრდილებით", 4. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), 5. მათემატიკა (წერა).

**მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნება: მონუმენტურ-დეკორატიული მოხატვის** სპეციალობაზე შემსვლელნი აბარებენ: 1. „ნატურმორტი" (ზეთი ან წყლის საღებავი) 2. „თაბაშირის ფიგურა" ან „ტორსი (ხატვა), 3. კომპოზიცია სპეციალობის მიხედვით სრულდება მოცემული არქიტექტურული გარემოს გათვალისწინებით, (წყლის საღებავები), 4. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

**არქიტექტურულ-დეკორატიული პლასტიკის სპეციალობაზე** შემსვლელნი აბარებენ: 1. „თაბაშირის თავის ასლი" (ძერწვა), 2. „თაბაშირის ფიგურა ან ტორსი" (ხატვა), 3. კომპოზიცია სპეციალობის მიხედვით (ჩანახატი და რელიეფი მასალაში მოცემული არქიტექტურული გარემოს გათვალისწინებით (თიხა, პლასტილინი), 4. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

**ხელოვნების ისტორია და თეორიის სპეციალობაზე** შემსვლელნი აბარებენ: 1. ხელოვნების ისტორიაში წერით გამოცდას (რეფერატი დასავლეთ ევროპის, რუსული ან ქართული ხელოვნების ერთ ფერწერულ ნაწარმოებზე), 2. ხელოვნების ისტორია (ზეპირი), 3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

ყველა სპეციალობასა და სპეციალიზაციაზე (გარდა არქიტექტურისა) ტარდება ჩათვლა საქართველოს ისტორიაში.

**შენიშვნა:** სამხატვრო აკადემიაში შემსვლელი აბიტურიენტები გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) ჩააბარებენ ტესტებით.

ტესტები შედგენილი იქნება გასარკვევად იმისა, თუ როგორ იცის აბიტურიენტმა ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოებები. კითხვებზე (3-5 კითხვა) აბიტურიენტი გასცემს წერილობით პასუხს. ამ პასუხთა სისწორე გამოკვეთს ერთ რომელიმე საკითხის მთლიანობას. მისი შესრულების ხარისხის მიხედვით დაიწერება შესაბამისი ნიშანი.

მისაღები გამოცდების დაწყებამდე აბიტურიენტები გაივლიან გასაუბრებას (ცხრილი გამოიკვრება აკადემიაში), რომელზეც მათ უნდა წარმოადგინონ საშინაო ნამუშევრები; აგრეთვე შეასრულონ მოკლევადიანი სამუშაოები: ფერწერისა და გრაფიკის სპეციალობაზე „შიშველი ფიგურის ნახატი" და „ნატურმორტი" ფერში, ქანდაკების სპეციალობაზე „შიშველი ფიგურის ნახატი".

დეკორატიულ გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტზე „თაბაშირის ფიგურის ნახატი" და „სპეცკომპოზიცია".

არქიტექტურის სპეციალობაზე კლაუზურა: ფანქარი, 0,25 ფურცელი, გეომეტრიული სხეულებისაგან ადგენენ სივრცით კომპოზიციას; ხატვაში თაბაშირის თავი.

სამხატვრო აკადემიაში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან აბიტურიენტები, რომლებიც გამოავლენენ პროფესიულ ჩვევებსა და სათანადო მომზადებას არჩეული სპეციალობის მიხედვით. გასაუბრების შედეგი აბიტურიენტებს ეცნობებათ მეორე დღეს.

საკონკურსო ქულების ჯამში შევა სამხატვრო აკადემიის პროფილით გათვალისწინებულ დისციპლინებსა და ქართულ ენასა და ლიტერატურის (წერა) გამოცდებზე მიღებული ქულები.

განცხადება სამხატვრო აკადემიაში მიღების შესახებ იწერება რექტორის სახელზე სპეციალობის (სპეციალიზაციის) ზუსტი აღნიშვნით და შემდეგი საბუთების დართვით: განცხადება ფორმის მიხედვით, დოკუმენტი (დედანი) საშუალო განათლების შესახებ, სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დანართს ჩაბარებული საგნების ნუსხით; დახასიათება (რეკომენდაცია) სავალდებულო არ არის; ამონაწერი შრომის წიგნაკიდან ან კოლმეურნის წიგნაკიდან, დამოწმებული კადრების უფროსის (ინსპექტორის) მიერ; სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086-უ); ექვსი ფოტოსურათი (ზომით 3X4); პასპორტს წარადგენენ პირადად.

განცხადებები მიიღება ყოველდღე გარდა კვირისა 10 საათიდან 14 საათამდე 15 ივნისიდან 13 ივლისის ჩათვლით. მისაღები გამოცდები დაიწყება 16 ივლისს.

სამხატვრო აკადემიის მისამართია: 380008, თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 22, ტელ. 93-68-93, 93-68-79, 93-48-64.

**მიმღები კომისია**

## თბილისის იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი აცხადებს მიღებას 1990-91 სასწავლო წლისათვის

**მიღება იწარმოებს ფერწერის სპეციალობაზე.**

სასწავლებელში მიიღებიან მოქალაქენი, რომელთაც აქვთ არასრული საშუალო განათლება.

სასწავლებელში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ: სპეციალურ დისციპლინებში — ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია (მოცემულ და თავისუფალ თემაზე), ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინებში — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი).

მისაღები გამოცდები დაიწყება 1990 წლის 6 ივლისს.

აბიტურიენტთა განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა (დედანი), სამედიცინო ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), 4 ცალი ფოტოსურათი უქუდოთ 3X4 სმ.

სასწავლებელში შემსვლელი პირადად წარმოადგენს დაბადების მოწმობას ან პასპორტს.

განცხადებები მიიღება 5 ივლისის ჩათვლით, ყოველ დღე, გარდა კვირა დღისა, 10 საათიდან 16 საათამდე.

აბიტურიენტებთან წინასწარი გასაუბრება გაიმართება სპეციალურ დისციპლინებში (ნამუშევრების წარმოდგენით).

სასწავლებლის მისამართია: თბილისი, ქუჩიშვილის ქ. № 9. ტელეფონები: 22-06-32, 22-63-94.

**მიმღები კომისია.**

ქ. ლესელიძის სახელობის რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატი და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველო აცხადებს მიღებას საქართველოს მკვიდრი მცხოვრებლების, რომლებსაც აქვთ 8 კლასის განათლება და სურვილი სკოლა-ინტერნატის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხონ სამოქალაქო ავიაციის უმაღლეს და სპეციალურ ტექნიკურ სასწავლებლებში და რომლის დამთავრების შემდეგ იმუშავებენ რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაციის სისტემაში. (თბილისი, სოხუმი, ქუთაისი).

სპეციალური სკოლა-ინტერნატის მსმენელები უზრუნველყოფილნი იქნებიან უფასო ფორმით, საცხოვრებლითა და კვებით.

სწავლის ხანგრძლივობა 3 წელია.

განცხადებების მიღება სწარმოებს 25 ივნისამდე, სკოლა-ინტერნატში, მისამართით:

თბილისი 380048, მეტრომშენებელთა დასახლება, ყვარლის ქუჩა 160. ავტობუსი № 24, მეტრო ისანიდან ან სამარშრუტო ტაქსით.

დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება ტელეფონებით:

74-57-14, 74-38-00, 41-24-54, 41-75-26.

## ყურადღება!

როგორც ვიუწყებოდით ა. წ. 26-27 ივნისს ჟურნალი „ეკონომისტი" და ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია აწყობს სამეცნიერო კონფერენციას თემაზე: „დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკა 1918-1921 წწ-ში".

კონცეფცია გაიხსნება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (ჯავახიშვილის ქ. №16) 26 ივნისს 11 საათზე.

დამატებით ცნობებისათვის მიმართეთ კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტს შემდეგ მისამართზე: კოსტავას ქ. № 63. ტ. 36-23-10.

**საორგანიზაციო კომიტეტი**

**განცხადებები**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „შევარდენი" — დამოუკიდებელი, ეროვნული სპორტსაზოგადოება

ქართული სპორტი რეალურ ნაბიჯებს დგამს სრული სუვერენიტეტისაკენ. ამის დასტურად საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და ფეხბურთის დამოუკიდებელი ფედერაციის შექმნაც გამოგვადგება. და აი, ამ დღეებში კიდევ ერთი სერიოზული, კონკრეტული ნაბიჯი გადაიდგმება ქართული სპორტის დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე. 22 ივნისს, თბილისის ჭადრაკის სასახლეში შედგება სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რიგგარეშე ყრილობა, რომელზეც უნდა დაფუძნდეს დამოუკიდებელი, ეროვნული სპორტსაზოგადოება, რის შედეგადაც „შევარდენი" აღარ იქნება საკავშირო სპორტსაზოგადოების სტრუქტურაში, როგორც მისი ერთ-ერთი რეგიონალური ორგანიზაცია. ამ რამდენიმე დღის წინ გამართულმა საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭოს პლენუმმა განიხილა საზოგადოების წესდების პროექტი (იგი გამოქვეყნდა გაზეთ „ლელოს" 5 ივნისის ნომერში). ყოველივე ზემოთ თქმულის გარშემო გვესაუბრება **საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ვაჟა შუბლაძე.**

— დავიწყოთ იმით, თუ რამ განაპირობა საქართველოს დამოუკიდებელი, ეროვნული, პროფკავშირული ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შევარდენის" წესდების შემუშავება. როგორც მოგეხსენებათ, სპორტსაზოგადოება „შევარდენი" ორი წლის წინ ჩამოყალიბდა შვიდი სპორტსაზოგადოების — „განთიადის", „კოლმეურნის", „სპარტაკის", „ბურევესტნიკის", „ზენიტის", „ლოკომოტივისა" და „ვოდნიკის" გაერთიანების ბაზაზე; იგი თავის საქმიანობას წარმართავდა საკავშირო სპორტსაზოგადოების ერთიანი წესდების ფარგლებში.

დღეს, როცა გადადგმულია რეალური ნაბიჯები სრული სპორტული სუვერენიტეტისაკენ, ჩვენ ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში გამართულ პლენუმზე გადავწყვიტეთ საკავშირო ორგანოებიდან დამოუკიდებლად საქმიანობის კონცეფციის შემუშავება, დამოუკიდებელი წესდების მიღება და რაც მთავარია, ეროვნულ საფუძველზე დამკვიდრება.

ჩვენი საზოგადოების წინაშე დგას ორი მთავარი ამოცანა — ერის გაჯანსაღებისათვის ზრუნვა ფიზიკური კულტურისა და მასობრივი სპორტის მეშვეობით და საქართველოს ეროვნული სპორტის განვითარება.

აღსანიშნავია, რომ „შევარდენის" დამოუკიდებლად გამოცხადება დააჩქარა თვით საქართველოს პროფკავშირებში მიმდინარე პროცესებმა. ჩვენ სწორედ იმიტომ მოვიწვიეთ 22 ივნისს საზოგადოების რიგგარეშე ყრილობა, რომ უკვე ერთი კვირის შემდეგ საქართველოს პროფკავშირების ყრილობაა, რომელზედაც უნდა გამოცხადდეს საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის შექმნა. ჩვენი სურვილია, რომ ამ კონფედერაციაში დამოუკიდებელი სპორტსაზოგადოების სტატუსით შევიდეთ.

ახლა რაც შეეხება საზოგადოების ეკონომიკურ საფუძვლებს. თუ ადრე ჩვენი სპორტსაზოგადოების დაფინანსება ხდებოდა ცენტრალიზებული წესით, ახალ პირობებში ეს სისტემა აღარ იმუშავებს. მომავალ წლიდან ჩვენ პირდაპირი ხელშეკრულებით დავუკავშირდებით დამოუკიდებელი დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებს; სხვაგვარად რომ ვთქვათ, შევასრულებთ მათ სოციალურ დაკვეთას ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში. ამ ძიმართულებით არ შეიძლება არ აღინიშნოს იმ დიდი თანადგომისა და დაინტერესების შესახებ, რასაც დარგობრივი კომიტეტები, ძირეული პროფკავშირული ორგანიზაციები იჩენენ ამ საკითხებისადმი. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ერის გაჯანსაღებაზე ზრუნვა, ქართული სპორტის სახელოვანი ტრადიციების წარმატებით გაგრძელება პროფკავშირების მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. მაგრამ აქვე იბადება კითხვა: ამ მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტაზე მხოლოდ პროფკავშირებმა უნდა იზრუნონ? სახელმწიფოს ბიუჯეტიდანაც ხომ არ უნდა ხდებოდეს სახსრების გამოყოფა? ვფიქრობთ, რომ პასუხი ერთმნიშვნელოვანი უნდა იყოს, ერის გაჯანსაღებას სახელმწიფოს მზრუნველობაც ესაჭიროება, რადგან პროფკავშირების სახსრები ეს თვით მშრომელთა ფულია, მათი საწევრო ანარიცხებია. (ცნობისათვის: ამერიკის შეერთებულ შტატებში ერის გაჯანსაღების საქმეს ხმარდება სახელმწიფო ბიუჯეტის 10 პროცენტი). არა და მშრომელთა ჯანმრთელობის მიზნით გამოყოფილი სახსრების უკუგება, რომ სოლიდურია, ამაში ეჭვი არავის არ უნდა შეეპაროს.

ბევრმა შეიძლება არც კი იცოდეს, რომ მშრომელთა დროებითი შრომის უუნარობის გამო ყოველწლიური ანაზღაურება ფულად გამოხატულებაში 72 მილიონ მანეთს აღემატება. მთავრობის მიერ გაღებული ამ სახსრების ნაწილი მაინც მშრომელთა გაჯანსაღებისათვის საჭირო პირობების შექმნას რომ მოხმარდეს, დროებითი შრომის უუნარობის მაჩვენებლები შესამჩნევად შემცირდებოდა. შემცირდებოდა აგრეთვე ის დიდი დანაკარგები, რომლებიც დღეს გვაქვს. კერძოდ, ავადმყოფობის გამო მშრომელთა სამუშაოზე გამოუცხადებლობით რესპუბლიკას ყოველწლიურად აკლდება დაახლოებით 800 მილიონი მანეთის პროდუქცია და 350 მილიონი მანეთის ეროვნული შემოსავალი. ვფიქრობ, რომ ეს ფაქტები სავსებით საკმარისია ფიზიკური კულტურისა და მასობრივი სპორტის მნიშვნელობის შესაფასებლად, რადგან ცნობილია, რომ დაავადებათა შემცირებაზე მოქმედ ფაქტორთა შორის ფიზიკურ კულტურაზე 40-50 პროცენტი მოდის.

ჩვენი სპორტსაზოგადოების დამოუკიდებლობა არ ნიშნავს თვითიზოლაციაში ყოფნას. ჩვენ გვქონდა საუბარი საკავშირო საბჭოს ხელმძღვანელებთან და სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ისინი გაგებით შეხვდნენ ჩვენს წინადადებას. ჩვენ ვითანამშრომლებთ მათთან მხოლოდ და მხოლოდ პარტნიორობისა და ურთიერთხელსაყრელი პრინციპებით, ჩვენი საერთო ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

ჩვენი მთავარი მიზანი მარტო საკავშირო დაქვემდებარებიდან გამოსვლა კი არ არის, არამედ თვისობრივად ახალი, ეროვნული სპორტსაზოგადოების ჩამოყალიბება, რომელიც მთელ თავის შესაძლებლობებს ერის გაჯანსაღების, ეროვნული სპორტის განვითარების საქმეს მოახმარს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სპორტსაზოგადოება „შევარდენი" პირველია როგორც რესპუბლიკაში, ისე კავშირის სხვა სპორტსაზოგადოებებს შორის, რომელმაც გადაწყვიტა დამოუკიდებლობის გამოცხადება.

იმედია, რომ მომავალში ბევრი გაჰყვება ჩვენს გზას...

**ჩაიწერა**
**გია ტუხაშვილმა**

# გამარჯვება ნეპომნიაშჩის აღსაზრდელებთან

...ფეხბურთში და მით უმეტეს იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე მოულოდნელობისაგან დაზღვეული არავინ არის, მაგრამ ის, რაც ბარის „ნოუვო კომუნალეს" სტადიონზე ვიხილეთ, ალბათ, მოულოდნელობაზე ოდნავ მეტი გვეჩვენა, და არა მხოლოდ საბჭოთა კავშირისა და კამერუნის ნაკრებების რეალური ძალის შემფასებლებს. ყველასათვის ცნობილი იყო, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებს მერვედფინალში გასასვლელი მინიმალური შანსის გამოსაყენებლად მინიმუმ ოთხი ბურთის გატანა სჭირდებოდა და მანამდე ფეხშებრკილმა საბჭოთა თავდამსხმელებმა ეს მათთვის არცთუ იოლი ამოცანა წარმატებით გადაჭრეს. თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ კამერუნელთა დაცვა წინა ორ მატჩში შესაშური საიმედოობით გამოირჩეოდა და, რაც მთავარია, მათ კარს მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე ტომას ნ' კონო, იცავდა. პირდაპირ სასაცილოდ ჩანდა ამ უაღრესად გამოცდილი და მაღალი კლასის მეკარის მიერ გაშვებული მესამე და მეოთხე გოლი, რომლის შემდეგაც ორივე ნაკრები მსაჯის საფინალო სასტვენსღა ელოდებოდა.

ცხადია, აქ დიდია „დამსახურება" კამერუნელთა რუსი მწვრთნელის. ნეპომნიაშჩიმ ყველაფერი გააკეთა (მგონი ლობანოვსკიზე მეტიც), რომ სსრკ ნაკრები შემდეგ წრეში გასულიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, თავის დროზე, სპორტსახკომმა შეცდომა დაუშვა, როცა არგენტინისა და რუმინეთის ნაკრების მწვრთნელებად რუსი სპეციალისტები არ გააგზავნა. ბილარდო და ენეი კი, სამწუხაროდ, მხოლოდ არგენტინისა და რუმინეთის ინტერესებით მოქმედებდნენ და მათ წინაშე მდგარი პრობლემები მშვიდად და ყოველგვარი რისკის გარეშე გადაწყვიტეს. 1:1 — ორივე ნაკრებისთვის მისაღები ამ ანგარიშით დამთავრდა არგენტინელთა და რუმინელთა მატჩი. შედეგად, სსრკ ნაკრები სახლში დაბრუნდა...

დიდ ინტერესს იწვევდა შეხვედრა რომში, სადაც „ოლიმპიკოს" სტადიონზე ჩემპიონატის მასპინძლები ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს ხვდებოდნენ. იტალიელთა მწვრთნელმა აძელიო ვიჩინიმ თავდასხმაში ორი ახალი ფორვარდი— რობერტო ბაჯო და სალვატორე სკილაჩი გამოიყვანა და არჩევანში არ შემცდარა. ორივე თავდამსხმელი მეტად აქტიურობდა მთელი შეხვედრის განმავლობაში და მათ მიერ გატანილი ორი გოლი ამ საინტერესო თამაშის

ITALIA'90

ლოგიკური დასასრული იყო.

ორივე ნაკრები მერვედფინალში გავიდა, ხოლო ამ ჯგუფის კიდევ ერთი შეხვედრა ავსტრიისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებებს შორის პირველების გამარჯვებით დასრულდა — 2:1. ამ გამარჯვებით ავსტრიელები პირველ ჯგუფში მესამე ადგილს დასჯერდნენ და მეორე ეტაპზე გასასვლელ ძალზედ თეორიულ შანსსღა ინარჩუნებენ.

წინასწარი შეხვედრები კიდევ ერთ ჯგუფში დასრულდა. მეოთხე ჯგუფში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს განაღდებული ჰქონდა მერვედფინალის საგზური და ამიტომაც შეხვედრა კოლუმბიის ნაკრებთან ზედმეტი რისკის გარეშე ჩაატარა. სამაგიეროდ, კოლუმბიელებმა მეტად საინტერესო ფეხბურთი აჩვენეს და სავსებით სამართლიანად დაიმსახურეს ფრე ძლიერ მეტოქესთან. კოლუმბიელებმა სამი ქულა მოაგროვეს და, ალბათ, მერვედფინალშიც იასპარეზებენ. აღსანიშნავია, რომ ორივე გოლი მატჩის მიწურულს გავიდა — ჯერ დასავლეთგერმანელმა პიერ ლიტბარსკიმ გამოიჩინა თავი, შემდეგ კი შეხვედრის ბოლო წუთზე კოლუმბიელმა ფრედი რინკონმა ანგარიში გაათანაბრა. ამ ჯგუფში მეორე ადგილი იუგოსლაველებმა მოიპოვს, რომლებმაც დასკვნით შეხვედრაში დიდი ანგარიშით დაამარცხეს არაბთა გაერთიანებული საამიროების ნაკრები — 4:1.

**გივი ტიბანელი**

**ამ გვერდზე გამოქვეყნებული მასალების ჰონორარი გადაირიცხება სოფ. ჰუჯაბის მშენებლობის ფონდში, ასოციაცია „აღორძინების" ანგარიშზე 100700608 მთაწმინდის რაიონის ბინსოცბანკში.**

**სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაცია)**

# განცხადება

ა. წ. 16 ივნისს გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში" გამოქვეყნდა საქართველოს მშრომელთა კავშირის—საქართველოს სახალხო ერთიანობის პარტიის „დეკლარაცია" (ძირითადი პრინციპები).

ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ საქართველოში ბოლოს და ბოლოს ყალიბდება პარტია, რომელიც თავის ერთ-ერთ ძირითად მიზნად ისახავს სოციალურად ნაკლებადუზრუნველყოფილ ადამიანთა (ობოლთა, მარტოხელათა, ხანდაზმულთა, ინვალიდთა) ინტერესების დაცვას.

მართალია, საუკეთესო განზრახვებისა თუ დაპირებების მეტი ჩვენ, ინვალიდებს, რა მოგვისმენია თუ წაგვიკითხავს, მაგრამ, ვფიქრობთ, საქართველოს მშრომელთა კავშირი — საქართველოს სახალხო ერთიანობის პარტია ჩვენს მხარდაჭერას საჭიროებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მზად ვართ ჩვენს რეზიდენციაში დროებით შევიფაროთ საქართველოს მშრომელთა კავშირის საქართველოს სახალხო ერთიანობის პარტიის საორგანიზაციო კომიტეტი, ვიდრე პარტია შესაფერის შენობას გამოძებნიდეს.

ერთი სიტყვით, ამიერიდან საქართველოს მშრომელთა კავშირის — საქართველოს სახალხო ერთიანობის პარტიის საორგანიზაციო კომიტეტის მისამართია:

380008, თბილისი, რუსთაველის 29.

საქართველოს ეროვნული ფორუმის შენობა, პირველი სართული.

ტელეფონი: 93-70-49 ან 93-70-32.

# განცხადება

ჰუმანიტარული ასოციაცია „ქათარზისის" სათნოების ორდენი შაბათს, 11 საათისათვის, ქაშუეთის ტაძრის ეზოში მოუხმობს ყველას, ვისაც სურვილი აქვს კვირაში ერთი დღე უკიდურესად გაჭირვებულ თანამოძმეთა ხვედრის შემსუბუქებას დაუთმოს.

შეღავათებისა და საზაფხულო არდადეგების მოახლოების გამო ორდენი თხოვნით მიმართავს ყველა დაინტერესებულ პირს, გამოთქვას თავისი მოსაზრება შემდგომი შეხვედრების დღისა და საათის თაობაზე. ორდენის ტელეფონებია: 95-04-97 (სამუშაო დღეები და საათები); 96-96-26 (არასამუშაო დრო).

**სათნოების ორდენი (ჰუმანიტარული ასოციაცია „ქათარზისი").**

## ინფორმაცია

ყალიბდება საქველმოქმედო ასოციაცია „ხომლი", რომელიც უანგაროდ დაეხმარება მრავალშვილიანი ოჯახების ნიჭიერ შვილებს მისაღები გამოცდებით გათვალისწინებული საგნების მომზადებაში. მისი სპონსორია საქველმოქმედო ასოციაცია „აღორძინება".

თანამშრომლობის მსურველ სამეცნიერო დაწესებულებებს და მასწავლებლებს ვთხოვთ დაგვირეკონ ტელეფონებით 99-00-49, 23-66-55.

ახალგაზრდა ივერიელი

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მიხალები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, გ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400
უე 00916

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380008
მ. კოსტავას ქ. № 14.